ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## კობა დავითაშვილი: „ზურაბ ხარატიშვილი დასაჭერია!“



ხუთშაბათი, 15 აგვისტო, 2013 №192 (6193) ფასი: 30 თეთრი

# ნონა გაფრინდაშვილი: „ვანო მერაბიშვილს თუ გაათავისუფლებენ, სახალხო აჯანყებას მოვაწყობთ!“

გვ.2



## გიორგი კანდელაკი: „პაატა ზაქარეიშვილი ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს“

გვ.3



გვ.4



Qartli.gE

## გიორგი მარგველაშვილი: „სამჭკუაშვილი ვაარ, ქრისტე კი არა!“

## ბაჩო ახალაიას ადვოკატი დაკითხეს

გვ.5



რას დაჰპირდა ხელისუფლებას ნანა კაკაბაძე

## მთავრობა რთვლისთვის ემზადება

ყურძნის ფასი 1 ლარიდან ზემოთ იქნება

გვ.4



## რიჩარდ ნორლანდი: „დენსუსის“ კვლევის მიზანი ობიექტური შეფასების გაკეთება იყო“

გვ.3



## „ცესკო-ს თავმჯდომარე პრეზიდენტის ზეწოლის შედეგად გადადგა“

გვ.6

ISSN 1987-9385

**7** საკრებულო და მერია 17 მილიონს ვერ იყოფენ

**4** რას ედავებიან ფოთის მერს

**7** „რექტორობის ყველაზე მეტი შანსი ვლადიმერ პაპავას აქვს“

**6** გამოიყენებენ თუ არა ბიუჯეტს პიარისთვის?

# ნონა გაფრინდაშვილი: „ვანო მერაბიშვილს თუ გაათავისუფლებენ, სახალხო აჯანყებას მოვაწყობთ!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სახალხო კრების ლიდერ ნონა გაფრინდაშვილთან



***— ქალბატონო ნონა, რა პოზიცია გაქვთ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკული მხარის დასკვნაზე?***

— ჩვენთვის გაუგებარია ასეთი დასკვნები და განცხადებები. ეს არის დაცინვა იმ ხალხის, ვინც იქ იყო და ვისაც ასე საშინლად მოექცნენ. ხომ არსებობს ფოტომასალები, ვიდეომასალები, რომლებიც აჩვენებს იმ სისასტიკეს, რაც ხელისუფლებამ გამოიჩინა მშვიდობიანი დემონსტრატების მიმართ. როცა დარბევა დაიწყო, ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ კონცერტისთვის ვემზადებოდით. ყველაფერი მშვენივრად ჩანს, ხალხი როგორ დგას და რას აკეთებს. ამიტომ რაც უნდა წერონ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათ წინააღმდეგ იმდენი დოკუმენტაცია არსებობს. უბრალოდ, ძალიან ნერვების მომშლელია ეს ყველაფერი. გამოდიან, ბოდიშსაც არ იხდიან, ეს ისეთი დანაშაული იყო, ამას ბოდიშის მოხდა ვერ უშველის, მაგრამ ამის მაგივრად გამოდიან და საკუთარ საქციელს ამართლებენ. ეს ქართველი ხალხის დაცინვაა. რომელ კოჰაბიტაციაზეა ლაპარაკი, ამათთან კოჰაბიტაცია შეიძლება?! ეგენი უნდა გასამართლდნენ! თუ გვინდა, რომ ქვეყანაში დაიწყოს დემოკრატიული პროცესები, ეს რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შეკვეთით დაიწერა ეს დასკვნა?***

— აბა, მეტი ვისი შეკვეთით იქნება დაწერილი? ჩვენ არ ვიცით, რომ ყველაფერი შეკვეთით ხდებოდა? ტონობით მასალები აქვს მიწოდებული საელჩოებს თუ დასავლეთის ქვეყნებს იმის თაობაზე, რა სისასტიკეც ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში. რა მათ არ იციან, სად გვაცხოვრეს ეს 9 წელი?! რეაქცია ჰქონდათ რამეზე? რამდენი რამე გამომზეურდა. რასაც პრეზიდენტი თუნდაც ახლა სჩადის ეს ყველაფერი ხომ ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული?! ეს რომ სხვას გაეკეთებინა და ნაციონალები ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, ხომ მოსპობდნენ უბრალოდ.

***— მეტალის ნაჭრებით და მოლოტოვის კოქტეილებით იყვნენ მომიტინგეები შეიარაღებულებიო...***

— კარგით რა, როდესაც მოლოტოვის კოქტეილებზე ლაპარაკობენ, ერთი მაგალითი ხომ მაინც უნდა ყოფილიყო, ერთი მოლოტოვის კოქტეილი მაინც რატომ ვერ ამოიღეს და ვერ დადეს? იმდენი ჟურნალისტი იყო, ფოტო, ვიდეომასალები, სადმე ჩანს ეს კოქტეილები? ვილაცას ხომ უნდა დაენახა და გადაეღო?! ან ჟურნალისტები რა დღეში ჩააგდეს, ასავალ-დასავალის ჟურნალისტს ერთი მეტრის მანძილიდან 39 ტყვია რომ დაახალეს, ეს ყველაფერი ხომ დაფიქსირებულია, ჟურნალისტს რაღას ერჩოდნენ? ან ხელბორკილდადებულებს რომ მთელი სისასტიკით ურტყამდნენ, მერე გაათრევდნენ სასტუმროსთან, იქაც სცემდნენ, სანამ ავტობუსი მოვიდოდა, მერე ეს ცემა-წამება სამმართველოში გრძელდებოდა. კარგით რა, რაზეა ლაპარაკი, ეს ხომ საშინელება იყო. რომელ წინააღმდეგობის გაწევაზე შეიძლებოდა იქ ლაპარაკი. ხალხმა, ვინც კინო რუსთაველში და ქაშუეთის ეკლესიაში შეცვლა მოახერხა, იცით, ამ ხალხს როგორ სასტიკად გაუსწორდნენ. ადამიანს ხელბორკილს რომ დაადებ, იმის შემდეგ მაინც ხომ უნდა გაჩერდე, არა? სწორედ ამის შემდეგ მიდიოდა სისასტიკე, ხელბორკილდადებულებს, წაქცეულებს, ასე გამეტებით სცემდნენ. ესენი რომ იძახიან, ორი გარდაცვლილიაო, რომელ ორ გარდაცვლილზეა ლაპარაკი? თავიანთ პოლიციელებზე იძახიან, გარდაცვლილებიაო, რომელიც კაცმა არ იცის, რა სიტუაციაში მოკლეს თვითონ. ერთ-ერთმა ტელევიზიამ ხომ მშვენივრად გადაიღო ეს ყველაფერი. ნინო ბურჯანაძის ესკორტს რომ აბრალებენ, ლონდონის ექსპერტიზა არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ არანაირი მანქანის გადავლა არ ყოფილა. ის ორი ახალგაზრდა კაცი სახურავებზე რომ შემოაწყვეს, ვითომდა დენმა დაარტყაო, იცით თქვენ, რომ არაოფიციალური მონაცემებით მსხვერპლი გაცილებით მეტია. ამის გარდა რამდენი დასახიჩრებული იყო, რამდენს ოპერაცია დასჭირდა, ზოგი დაბრმავდა, ბევრი დაინვალიდებულია... მსგავსი სისასტიკე საკუთარი ხალხის მიმართ არ მსმენია. ამის ჩამდენები აუცილებლად დასასჯელები არიან. სამრიგად შემოგვეხვივნენ მომიტინგეებს, იმდენი პოლიცია და ჯარისკაცი გამოიყვანეს. თუ ამდენი ჯარი და პოლიცია ჰყავდათ, თავის დროზე გამოეყენებინათ ეს ძალა, დღე-ნახევარში რომ წააგეს ომი. ზონდერები იყვნენ ძალიან ბევრნი და ისინი გამოირჩეოდნენ ყველაზე მეტი სისასტიკით. რაშია საქმენ იცით, მე საერთოდ ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ პირდაპირ გულზე მხვდება, ასეთ განცხადებებს რომ აკეთებენ. ამდენი ვიდეო და ფოტომასალის ფონზე როდესაც გამოდიან ნაციონალები, აცხადებენ, ჩვენ ყველაფერი სწორად გავაკეთეთო, ამ ადამიანებთან ლაპარაკი როგორ შეიძლება?!

***— საუბარია, რომ ნაციონალები ამ განცხადებებით ნინო ბურჯანაძის დისკრედიტაციას და ასევე ვანო მერაბიშვილის გამართლებას ცდილობენ. საუბარია, რომ შესაძლოა ეს დასკვნა გახდეს მისი გათავისუფლების საფუძველიო...***

— მერაბიშვილი თუ გამოუშვეს იქიდან, მაშინ ხალხმა უნდა მოაწყოს სახალხო აჯანყება, პირდაპირ ვაცხადებ ამ სიტყვებს. ამათ თუ შერჩათ ეს ყველაფერი, რაც ჩაიდინეს, მაშინ აღარ ყოფილა ამ ქვეყანაზე სამართალი. ხალხს ერთი პურის მოპარვისთვის წლობით სვამდნენ ციხეში და ამათ მილიარდები აქვთ მოპარული და ქვეყნიდან გატანილი. დააბრუნებინონ ეს თანხები და მოახმარონ ხალხს! რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ქალბატონ ნინოს ვერანაირ დისკრედიტაციას ვერ გაუკეთებენ. უბრალოდ, ეშინიათ ქალბატონი ნინოსი და იმიტომაც არის, ასე აქტიურად რომ წამოწიეს ეს თემები. რაც მეტს წამოწევენ, კიდე უარესი მათთვის. როგორ ბედავენ დღეს ასეთი განცხადებების კეთებას?! ეს უკვე ცინიზმის რა ფორმაა, აღარ ვიცი, მაგრამ ზუსტად იმიტომ, რომ ამხელა პროცენტით შევიდნენ პარლამენტში, იმიტომ არიან ასე გათავხედებულები. ერთი გამაგებინეთ, რომელ დემოკრატიულ არჩევნებზეა საუბარი, ასე დემოკრატიულად რომ შერაცხეს. უბრალოდ ტოტალური გაყალბება ვეღარ შეძლეს, რადგან ხალხმა მასობრივად მიიღო მასში მონაწილეობა. თუმცა გაყალბების შედეგი იყო ის, რომ ამდენი პროცენტით მოხვდნენ პარლამენტში.

***— საზოგადოებას იმედები გაუცრუვდა, საუბარია, რომ ამ კოჰაბიტაციამ ძალიან მახინჯი ფორმები მიიღო. რა ხდება, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

— არ ვიცი. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ პრეზიდენტს რომ გაუშვებენ, მერე წავა პროცესები სხვანაირად. ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს. დაველოდოთ, რაღა დარჩა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. თუ არ მოხდა იმათი დასჯა, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი, ვისაც მილიარდები აქვს გატანილი, არ მოხდა ამ თანხების დაბრუნება, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები ვერ განვითარდება. ხალხი განთავისუფლდა დღეს, შიში მოეხსნათ, რადგან დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სხვა ვითარება შეიქმნა და ამიტომ ვფიქრობ, რომ როდესაც ხალხს შიში აღარ აქვს, ის დანაშაულს არავის აპატიებს. არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება ამას ხალხი. ეს შეუძლებელია, ჩვენ თუ შევეგუეთ ამ ყველაფერს, მაშინ ჩვენ ვერ ავაშენებთ ქვეყანას. თუ ქვეყანა გავწირეთ, მაშინ არ ვიცი, საერთოდ რას აქვს ფასი?

***— ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ვერ გაბედავენ მერაბიშვილის გათავისუფლებას? საუბარია, რომ შესაძლოა ის პრეზიდენტმა შეიწყალოსო...***

— სწორედ ამიტომ უნდა გაგრძელდეს სასამართლო პროცესები და ახალ-ახალი საქმეები გამოიტანონ. მერაბიშვილს იმდენი დანაშაული და უბედურება აქვს ჩადენილი ამ ქვეყანაში, რომ წამოწიონ ეს ახალ-ახალი საქმეები და სასამართლო პროცესი კიდევ უნდა გაგრძელდეს. რაც არ უნდა შეიწყალოს პრეზიდენტმა ეს დამნაშავეები, კიდევ იმდენი რამ გამოჩნდება მათ წინააღმდეგ, რომ იმ შეწყალებული ხალხის წინააღმდეგ ახალი სასამართლო პროცესებიც შეიძლება წარიმართოს. საქმე ის არის, რომ უბრალოდ ეს დროში გაიწელება, მაგრამ არა უშავს. ვერც კი წარმოვიდგენთ, რა სახის და რა სისასტიკის მქონე დანაშაულობები ჩაიდინეს ამ 9 წლის განმავლობაში ნაციონალებმა. ხალხმა ბევრი რამ არ იცოდა, თანდათან ხდება ეს ნათელი, თუ რა დონის რეჟიმთან გვქონდა საქმე. ეს ყველაფერი ნელ-ნელა კიდევ გამოჩნდება. არ შეიძლება ამის პატიება. ვერავითარ შემთხვევაში ქვეყანა ვერ განვითარდება თუ სამართლიანობა არ აღდგა. ბევრს არ მოსწონს ეს სიტყვა სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ სწორედ ეს სიტყვა მოცავს იმ პროცესებს, რაც უნდა განვითარდეს, სწორედ ამ სიტყვაში ჯდება ყველაფერი, წართმეული ქონების დაბრუნება, დამნაშავეების დასჯა, უდანაშაულო ბიჭები რომ ხოცეს ქუჩებში. როგორ, ამის ჩამდენი არ უნდა დაისაჯოს და ამას არ უნდა დაერქვას თავისი სახელი?! ხომ ხედავთ, უკვე 27 ათას ფირზე ავიდნენ, ერთმანეთსაც ულებდნენ თურმე და აგროვებდნენ კომპრომატებს. პირდაპირ საოცარია რა. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, მე არ ვიძახი, რომ დაბალ ფენას და მასობრივად დაიჭირონ ყველა, მაგრამ ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია იმაზე, რაც ხდებოდა. ჯერ მარტო 26 მაისი რომ ავიღოთ, იქ ყველა ძალოვანი უწყება მონაწილეობდა. მე თვითონაც ბეწვზე ვარ გადარჩენილი და დღესაც მაქვს 26 მაისის ნაკვალევი. უკვე ამის აღწერაც შეუძლებელია და გახსენებაც, რაც იქ ხდებოდა...

***— რატომ ეძლევათ მათ იმის უფლება, რომ ასე თავხედურად მოიქცნენ?***

— მე ვფიქრობ, რომ დღევანდელ ხელისუფლებაზე სერიოზული ზეწოლაა. მე მაინც ვიტოვებ იმედს ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომიდან სულ სხვა პროცესები უნდა განვითარდეს და ვნახოთ, აგერ შემოდგომაც მალე მოვა...

***— სახალხო კრებამ მხარი ნინო ბურჯანაძეს და დაუჭირა და თქვენი აზრით, რა შანსები აქვს მას?***

— მე ძალიან გამიკვირდება, რომ არაობიექტურად ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები. ყველამ კარგად ვიცით, რომ ადრე არჩევნები რომ ტარდებოდა, მთელი ძალოვანი სტრუქტურები ჩართული იყვნენ, იტაცებდნენ კიდეც ყუთებს და რაებს არ აკეთებდნენ. დარწმუნებული ვარ, ახლა მსგავს რამეს არ ექნება ადგილი. უბრალოდ, აქ ის პრობლემაა, რომ ქალბატონი ნინო დარჩა დაფინანსების გარეშე, ეს ერთი, მეორეც ის, რომ ქალბატონ ნინოს და სხვა ოპოზიციურ პარტიებს არა ჰყავთ წარმომადგენელი ცსკ-ოში, კომისიის წევრები არა ჰყავთ და ეს სერიოზული მინუსია. თუმცა მე მაინც მგონია, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არჩევნები ობიექტურად უნდა ჩატარდეს და ობიექტური არჩევნების შეთხვევაში, მე მგონია, რომ ქალბატონ ნინოს აქვს სერიოზული შანსები. ქალბატონი ნინო და ასევე ჩვენ არ ვუპირისპირდებით ქართულ ოცნებას, პირიქით, გვგონია, რომ ქალბატონი ნინოს წარმატების შემთხვევაში გაწონასწორებული და დაბალანსებული ვითარება შეიქმნება და ეს ძალიან მომგებიანი იქნება იგივე ქართული ოცნებისთვის. ეს ხალხის გადასაწყვეტია, მთავარია, რომ ხალხმა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. თუმცა აქვე დავამატებ, კატასტროფა იქნება, თუ რაღაცნაირი მახინაციებით მოახერხეს თუნდაც მეორე ადგილზე დავით ბაქრაძის გაყვანა. საერთოდ, ბაქრაძეს ნამუსი რომ ჰქონდეს, ამ პოსტზე არ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას. რაც ხდებოდა, რა, ბაქრაძის პასუხისმგებლობა არ იკვეთება იქა? ხომ არ ავიწყდება, რომ პარლამენტის თავმჯდომარე იყო! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ დამისახელეთ ერთი საკითხი მაინც მისი გადაწყვეტილი, კაცი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ან საერთოდ გარჩეული, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის. მსგავსი არაფერი მომხდარა, ნულოვანი იყო მის ხელში პარლამენტი! აბსოლუტურად ნულოვანი. ამას დავუმატოთ ის, რაც მისი დანახვისას მახსენდება, ომის დროს სამეგრელოს მოსახლეობას რომ მოუწოდებდა — კოვზებით და დანა-ჩანგლით იომეთო. მის სახელს არანაირი პოზიტიური თემა არ უკავშირდება. უბრალოდ იყო უფრო გაწონასწორებული, ვიდრე სხვები. თან ბაქრაძეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა? ამის მერე კიდევ ბედავს, გამოდის და ხალხს ჭკუას ასწავლის. კიდევ ხელს იშვერენ და დღევანდელ ხელისუფლებას აძახებენ, სად არის თქვენი დაპირებებიო. ამათ ხელში კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეძლო ამ ხელისუფლებამ, ბევრსაც გააკეთებდა, ესენი რომ არ უშლიდნენ ხელს. თვითონ რა გააკეთეს საერთოდ, ამ 9 წლის განმავლობაში?!

***— ვის ინტერესებში შედის დღეს, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს? რა თქმა უნდა, გარდა თავად ნაციონალებისა...***

— გარდა ნაციონალებისა, დასავლეთის. ეს ყველასთვის ნათელია. მათ სჭირდებათ ისევ დასაყრდენი ამ ქვეყანაში. ისინი შეჩვეულები არიან ამ ძალასთან ურთიერთობას, ასე რბილად რომ ვთქვათ... მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ ვარ ხელისუფლებაში. მე დღეს ჩემს თავს ვაძლევ იმის უფლებას, რომ რასაც ვფიქრობ, ის ვთქვა ღიად. ეს საქართველოს ინტერესებში არ არის, ეს არის მარტო დასავლეთის ინტერესებში. მათი სურვილია, რომ ნაციონალებიდან რამდენიმე ადამიანი მაინც შეინარჩუნონ, ეს არის და სხვა არაფერი.

***— თუმცა ამას ანგარიშს უწევს დღევანდელი ხელისუფლებაც...***

— იცით რაშია საქმე, ძალიან ძნელია, როდესაც ამხელა ზეწოლა მიმდინარეობს შენზე, უცებ რადიკალური ნაბიჯები გადადგა. კარგად ასაწონ-დასაწონი სიტუაციაა. მე ძალიან მჯერა ბატონი ბიძინასი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდება და შემოდგომიდან ბევრი რამ შეიცვლება.

## ნინო ბურჯანაძე: „საქართველოს გამთლიანება შესაძლებელია“

პარტია „დემოკრატიული მოძრაობისა“ და ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის წევრებმა, დღეს გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

„1992 წლის 14 აგვისტო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამუდამო ტკივილად დარჩება. საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს შესისხლორცებული ტრადიციები და ურთიერთთანაცხოვრების უდიდესი გამოცდილება, ომის საშინელმა ტრაგედიამ რადიკალურად შეცვალა. ძმათამკვლელი ომის შედეგად დაიღუპა ათასობით და საკუთარ ქვეყანაშივე დევნილად იქცა ასეულ ათასობით ადამიანი.

„დემოკრატიული მოძრაობა“ პატივს მიაგებს ომში დაღუპულ ქართველ და აფხაზ ვაჟკაცთა და ყველა იმ მშვიდობიანი თანამოქალაქის ხსოვნას, რომლებიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ და შეეწირნენ საკუთარ სამშობლოს და იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ისევ დავიბრუნებთ ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები ერთმანეთისადმი ნდობას, აღდგება და გაძლიერდება ურთიერთობა და დავიბრუნებთ ერთმანეთს“ — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

პრეზიდენტობის კანდიდატმა და „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი განაცხადა, რომ მისი, როგორც პოლიტიკოსის უმთავრესი მიზანი და ამოცანაა საქართველოს — ჩვენი სამშობლოს გამთლიანება.

„ეს მთლიანობა ძნელი მისაღწევია, მაგრამ შესაძლებელია.

ჩვენ ვიცით, რომ ამის რეალური შანსი არის და ვიცით ეს შანსი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ როგორ უნდა გამოვიყენოთ!

„დემოკრატიული მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს იმისთვის,რომ გამოიძებნოს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან დიალოგის გზები, რაც ჩვენი ქვეყნის გაერთიანების უპირველესი გარანტია იქნება“ — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რიჩარდ ნორლანდი: „დენსუსის“ კვლევის მიზანი ობიექტური შეფასების გაკეთება იყო“

შორენა მარსაგიშვილი



ბოლო ხანებში მიხეილ სააკაშვილს უცნაური განცხადებების გაკეთება დასჩემდა. უცნაური განცხადებები მისგან არავის გვიკვირს, გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ ამერიკას უცნაურად ახსენებს.

სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ გააკეთა განცხადება, რომ 26 მაისის დარბევას თვალს ეფ-ბი-აის წარმომადგენლები ადევნებდნენ. ამ განცხადებიდან მოკლე ხანში ვანო მერაბიშვილის ადვოკატი ალაპარაკდა ამერიკული კომპანიის მიერ მომზადებულ დასკვნაზე.

ამერიკული კომპანია „დენსუსის“ დასკვნა 12 აგვისტოს „თავისუფალმა ზონამ“ გაავრცელა. დასკვნა 2011 წლის 26 მაისის მოვლენებს ეხება. დასკვნაში ნათქვამია, რომ რუსთაველის გამზირის ბლოკირების მიზნით, რამდენიმე სამართალდამცველმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა, თუმცა, საერთო ჯამში, მათი მოქმედება კანონიერი იყო და ტერიტორიის დასატოვებლად აქციის მონაწილეებს პოლიციამ გზა წინასწარ გაუხსნა.

ეს დასკვნა გავრცელდა 12 აგვისტოს, წინა დღეს ამერიკულ გემზე მოხდა მცირე გაუგებრობა. საზეიმო მიღებას საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა. სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის დროს ელჩი და ბიძინა ივანიშვილი სიცილით იხოცებოდნენ. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ დასკვნა სააკაშვილის დავალებით გამოქვეყნდა და ის ელჩის სიცილის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, გუშინ „დენსუსის“ დასკვნაზე კომენტარი გააკეთა. ნორლანდის თქმით, კვლევის მიზანი სწორი და ობიექტური შეფასების გაკეთება იყო.

– რამდენადაც ვიცი, კვლევის მიზანი იყო ობიექტური შეფასების გაკეთება სამართალდამცველების ხედვის თვალსაზრისით – ამ კვლევას იურისტები, როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხიდან, განიხილავენ და ჩვენგან მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას რაიმე კომენტარი გავაკეთოთ, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა მიიჩნევს, რომ ამერიკული კომპანია „დენსუსის“ მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჯერ კიდევ 2011 წელს გადაცემული დასკვნა 26 მაისის აქციის დაშლასთან დაკავშირებით შედგენილია მაღალკვალიფიციურად და იგი არათუ ეწინააღმდეგება ივანე მერაბიშვილისათვის შერაცხულ ბრალდებას, არამედ ავსებს მას და ადასტურებს ამ ბრალდების დასაბუთებულობასა და კანონიერებას.

– კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილისათვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, მან, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, გასცა უკანონო ბრძანებები, რომელთა საფუძველზე საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაარღვიეს მიტინგის დაშლის წინასწარ მომზადებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული გეგმა, რომლის მართლზომიერება და მიზანშეწონილობა გაზიარებულია ზემოაღნიშნული დასკვნითაც. შედეგად, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო ათეულობით ადამიანმა, ხოლო ორი – გარდაიცვალა.

საგულისხმოა, რომ კომპანია „დენსუსი“ დასკვნის შედგენისას უპირატესად ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მათთვის მიწოდებული, ცალკეულ შემთხვევებში, ცრუ ინფორმაციებითა და მასალებით. ასე, მაგალითად, დასკვნაში ვკითხულობთ: „გამზირის დემონსტრანტებისაგან გაწმენდის ოპერაციის შესწავლის შედეგად დათხოვნილი იქნა ოთხი პოლიციელი, ერთი – ჩამოქვეითდა და ცხრა პირს გამოეცხადა საყვედური. თუმცა დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ დანაყოფებში მუშაობდნენ აღნიშნული ოფიცრები ან რა დარღვევებმა/გადაცდომებმა განაპირობა მათი დისციპლინური დასჯა, არ გაცხადებულა, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის გავრცელებულ განცხადებაში.

პროკურატურის განცხადებითვე, გამოძიებით კი უტყუარად დადგენილია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირების მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა თვალთმაქცური რეაგირება და ჩადენილ დანაშაულში ივანე მერაბიშვილის მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დასაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 16 თანამშრომელი, რომელთაგან ნაწილი საერთოდ არ იმყოფებოდა მიტინგის ტერიტორიაზე, ნაწილი – უშუალოდ არ ღებულობდა მონაწილეობას მიტინგის დაშლაში, ხოლო 3 მათგანი დასჯის შესახებ ბრძანების გამოცემამდე, საკუთარი ნებით, უკვე გათავისუფლებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს დასკვნა მას თავისუფლებას აჩუქებს.

# კობა დავითაშვილი: „ზურაბ ხარატიშვილი დასაჭერია!“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ ცენტრალური საარჩევნო კომისია თავმჯდომარის გარეშე დარჩა. ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობა დატოვა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ ბევრი ჭორი გააჩინა. ხარატიშვილი გადადგომის მიზეზებზე დღეს ისაუბრებს. დღესვე გვეტყვის, მართლა აპირებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

გავრცელებული ინფორმაციით, მან პოსტი ნაციონალებთან შეთანხმებით დატოვა. ამით ისინი არჩევნების პროცესის დისკრედიტაციას ცდილობენ. მეორე ვერსიით კი, ხარატიშვილმა სააკაშვილის ზეწოლას ვერ გაუძლო და წავიდა. ახლო მომავალში ცესკოს ყოფილი თავკაცი პოლიტიკური პარტიის შექმნასაც გეგმავს თურმე.



დეპუტატი კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს. მისი მტკიცებით. ხარატიშვილის ამოცანა ისაა, რომ არ დაიჭირონ და ის ეძებს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების გზებს.

– ზურაბ ხარატიშვილის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები ვინ იქნებიან – ხათუნა გოგორიშვილი და ლევან თარხნიშვილი და პარტიას „სამართლიანი არჩევნები“ ერქმევა?! მისი ამოცანა ისაა, რომ არ დაიჭირონ. დასაჭერია ხარატიშვილი, მისი წინამორბედები და არჩევნების გამყალბებლები. ის ეძებს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების გზებს. ხარატიშვილს ეჭვმიტანილად განვიხილავ, კონკურენტად – არა. 1 ოქტომბრის არჩევნები ისევე გაყალბდა, როგორც – სხვა არჩევნები; უბრალოდ, გაყალბება იმდენად მასშტაბური არ იყო. ხალხმა დაიცვა ხმები და არა – ხარატიშვილმა. ჩემთვის გაუგებარია, ასეთი პროკურატურის პირობებში, ხარატიშვილს დაჭერის რატომ ეშინია, – განაცხადა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე დავითაშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ ზურაბ ხარატიშვილი თავისი ხელმძღვანელობის ყველაზე რთულ პერიოდში, თავის ამოცანებს პირნათლად უმკლავდებოდა.

ელჩი ხარატიშვილის იმ განცხადებასაც ეხმიანება, რომლის მიხედვითაც, ცესკოს თავმჯდომარემ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილებამდე კონსულტაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა.

– ცესკოს თავმჯდომარე ამ წლის დასაწყისში ნამდვილად იმყოფებოდა ამერიკაში, რა დროსაც საარჩევნო სისტემაში მიმდინარე პროცესები განიხილებოდა. ცესკო-ს თავმჯდომარის გადადგომის შესახებ ქართული საზოგადოებისგან შევიტყვე და ამის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ. ცესკო-სთან და მის თავმჯდომარესთან საერთაშორისო თანამეგობრობას თანამშრომლობა გასულ წელსაც ჰქონდა და მე აღვნიშნავ, რომ თავმჯდომარე თავის ამოცანებს რთულ გარემოში უმკლავდებოდა. რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, მისი სრულფასოვანი ჩატარება მნიშვნელოვანია. საზოგადოებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებს პროცესის რწმენა უნდა ჰქონდეს. დღეს, რასაც ვხედავ, ჯერჯერობით პროცესი საკმაოდ იმედის მომცემია, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

კობა დავითაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში თავადაც აპირებს მონაწილეობის მიღებას. ცოტა ხნის წინ მან საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. ჯერჯერობით ის პარლამენტში ეულად არის. ახლო მომავალში კი საპარლამენტო ფრაქციის შექმნას აპირებს.

დეპუტატს სურს, რომ მისი ფრაქცია დამოუკიდებელი იყოს. ამასთან მისთვის ჯერ უცნობია, ვინ გაწევრიანდება მის სამწყსოში.

– მე ვარ დამოუკიდებელი დეპუტატი, რომელიმე ფრაქციაში შესვლას არ ვგეგმავ, განსაკუთრებით როგორც მოქმედ, ისე – ყოფილ „ნაციონალებთან“. ფრაქციის შექმნა მინდა და არჩევნებში მონაწილეობის ერთ-ერთი მიზანი ესეც არის. ჩემი პროგრამა მაქსიმუმია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რაც სავსებით რეალური მგონია სახელისუფლებო სუსტი კანდიდატის ფონზე. მე პიროვნულ თვისებებს არ ვეხები, მაგრამ გიორგი მარგველაშვილს საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი უბრალოდ არ იცნობს. არ იცის, ვინაა და ეს ცუდი საფუძველია იმისთვის, რომ ხმების ნახევარზე მეტი მოიპოვო. მეორე ტურის ალბათობა ძალიან მაღალია, – მიიჩნევს დეპუტატი.

დავითაშვილის თქმით, მისი პროგრამა მინიმუმი არის ისეთი შედეგის ჩვენება, რომელიც საშუალებას მისცემს, რომ საპარლამენტო მემარცხენე-ცენტრისტული ოპოზიციური ფრაქცია ჩამოყალიბდეს.

# გიორგი კანდელაკი: „პაატა ზაქარეიშვილი ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ 14 აგვისტო იყო. 14 აგვისტო საქართველოს ისტორიის მორიგი ტრაგიკული ფურცელია. 21 წლის წინ, ამ დღეს აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო. მაშინ ქართული საჯარისო შენაერთები აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად შევიდნენ. ეს შესვლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან იყო შეთანხმებული. ამაზე თანხმობა გაცემული ჰქონდა არძინბასაც. წესით, არაფერი არ უნდა მომხდარიყო. სამწუხაროდ, ეს თანხმობა აღმოჩნდა ხაფანგი და ქართული მხარე ჩაერთო შეიარაღებულ კონფლიქტში.

ამ ომთან დაკავშირებით უამრავი განცხადება გაკეთდა. თენგიზ კიტოვანი და ედუარდ შევარდნაძე ერთმანეთს აბრალებენ აფხაზეთში შეჭრას.

21 წლის წინ დაწყებულ ომს პაატა ზაქარეიშვილის უწყება გუშინ გამოეხმაურა. ზაქარეიშვილი ამ კონფლიქტს საკმაოდ ახლოს იცნობდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ტყვეთა გაცვლაში. გუშინ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ნაციონალებმა დიდი ამბები მოაყოლეს. როგორც უკვე ვთქვით, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აფხაზეთის ომის დაწყების 21 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „ახალი თაობა“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– დღეს ქართველები და აფხაზები ტრაგიკული მოვლენების მორიგ წლისთავს აღვნიშნავთ. 21 წლის წინ დაწყებული ომი უმძიმეს შედეგებს ამ დრომდე იმკის. ეს ომი იყო დიდი შეცდომა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო. საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტის თავიდან აცილება ახლად შექმნილმა სახელმწიფომ და ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო. საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს ორივე მხარემ განიცადა დიდი დანაკარგი და წარმოუდგენელი ადამიანური ტრაგედიები. ამასთან, ომმა გამოიწვია ასობით ათასი ადამიანის დევნილობა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, დიდი მატერიალური და ფსიქოლოგიური ზიანი, რომელმაც ხანგრძლივი კვალი დატოვა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებაში. გვინდა, პატივი მივაგოთ ყველა დაღუპულის ხსოვნას, მივუსამძიმროთ ყველა ოჯახს, ქართველებსა და აფხაზებს.

პირველ ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ უარი თქვა მასზე თავსმოხვეულ, აგრესიულ და მილიტარისტულ პოლიტიკაზე. საქართველო უკვე აღარაა ის სახელმწიფო, რომელიც იყო 21 წლის წინ. დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მზადაა აფხაზებისა და ოსების ინტერესების დასაცავად და გულწრფელად დაინტერესებულია მათთან მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლების შექმნით. 2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაადასტურა ცალმხრივი ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენი ხელისუფლების კონფლიქტების მოწესრიგების მშვიდობიანი, კონსტრუქციული და პრაგმატული კურსისადმი ერთგულებას.

ქართველებმა და აფხაზებმა ერთად უნდა მოვძებნოთ გამოსავალი და ვიზრუნოთ ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული მომავლის მშენებლობაზე, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია. დარწმუნებული ვართ, ერთობლივი ძალისხმევით, გასულ საუკუნეში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები აღარასოდეს განმეორდება, – ვკითხულობთ განცხადებაში.

ამ განცხადებას ნაციონალები მალევე გამოეხმაურნენ. პარტიის სახელით აღშფოთება და შეშფოთება გიორგი კანდელაკმა გამოხატა. მისი თქმით, ზაქარეიშვილის უწყების მიერ გავრცელებული განცხადების გამო, ნაცმოძი უკიდურესად



არის შეშფოთებული.

– ჩვენ ამ განცხადების გამო უკიდურესად ვართ შეშფოთებული. აღნიშნულ განცხადებაში, ზაქარეიშვილი საერთოდ არ ახსენებს რუსეთის როლს აფხაზეთში დაძაბულობისა და ომის ინსპირირებაში და საკუთრივ ომის დროს. ყველასთვის, განსაკუთრებით კი, იმ ავბედითი მოვლენების თვითმხილველი ასი ათასობით ჩვენი თანამემამულისათვის კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა როგორც კონფლიქტის ინსპირირებაში, ასევე საკუთრივ საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები არა მხოლოდ აქტიურად აიარაღებდნენ ე.წ. „აფხაზურ“ ფორმირებებს, რომელთაც რუსეთისვე აგენტები ედგნენ სათავეში, არამედ თავად მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში. გუდაუთაში განლაგებული რუსეთის ავიაცია გამუდმებით ბომბავდა ქ. სოხუმს, რის შედეგადაც დაიღუპა ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია სოჭის 1993 წლის კაბალური ხელშეკრულება, გამოაყვანინა მძიმე ტექნიკა აფხაზეთიდან და შემდეგ მუხანათურად დაარღვია იგი, – აღნიშნა უკიდურესად შეშფოთებულმა კანდელაკმა.

დეპუტატის განმარტებით, რუსეთის გენერალიტეტმა და რუსეთის საჯარისო დანაყოფებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1993 წლის სექტემბერში ქ. სოხუმის შტურმში და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობასა და ასეულ ათასობით ადამიანის ეთნიკურ წმენდაში.

გიორგი კანდელაკი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეთნიკური წმენდა აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაერთი მაღალი რანგის დოკუმენტით.

– ცხადია, საქართველომ დაუშვა არაერთი შეცდომა. ცხადია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ადამიანების განწყობა ქართული სახელმწიფოს მიმართ არ არის დადებითი, რის გამოსწორებასაც ხანგრძლივი, მრავალვექტორიანი ძალისხმევა და მოთმინება სჭირდება. მაგრამ, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაში, ეთნიკურ წმენდასა და ამ წმენდის შედეგების დაკანონების მცდელობაში რუსეთის როლის არდანახვა უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ, არის არა მხოლოდ საკუთარი თავის დაბრმავება, არამედ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, – აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან 21 წლის წლისთავთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, 21 წლის წინ მომხდარი ფაქტი ტრაგიკული იყო და ამ კონფლიქტმა უამრავი ადამიანი დააზარალა.

– 20 წლის წინ მე სოხუმში ვიმყოფებოდი. მაშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ დიპლომატები შეკრიბა და ცდილობდა ეს კონფლიქტი შეეჩერებინა. ამჟამად ამ კონფლიქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ჟენევის ფორმატში მიმდინარეობს და არის მცდელობა, რომ მისი მშვიდობიანი გზით მოგვარება მოხდეს, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

# მთავრობა რთვლისთვის ემზადება

## ყურძნის ფასი 1 ლარიდან ზემოთ იქნება

შორენა კოწოწაშვილი



**„რთველი 2013“ ახლოვდება. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ რთვლის წარმატებით ჩატარებისთვის ბიძინა ივანიშვილის კაბინეტმა ყველაფერი გააკეთა და რომ წელს გაცილებით უფრო კმაყოფილი იქნება გლეხი, ვიდრე აქამდე იყო. აღსანიშნავია, რომ პრემიერმა ივანიშვილმა განსაკუთრებული გათვლა სწორედ აგროსექტორის და ქართული სოფლის აღორძინებაზე გააკეთა. ამ რთული ამოცანის შესრულება კი საქართველოს მთავრობასთან ერთად სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაევალა, რომელმაც პირველი გამოცდა სასოფლო ბარათების დარიგების და მიწების მოხვნის კუთხით მეტ-ნაკლები წარმატებით ჩააბარა, ახალი კი ჯერი რთველზეა.**

მოახლოვებულ რთველთან დაკავშირებით პირველი განცხადებები სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გუშინ გაკეთდა. მინისტრი შალვა ფიფია ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ მიმდინარე წლიდან სახელმწიფო კერძო სექტორის ინტერესების მაქსიმალურ დაცვასა და პრიორიტეტულობის შესანარჩუნებლად გლეხების დახმარებაზე იზრუნებს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ მეწარმეებისთვის და მცირე ფერმერებისთვის მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებულ ყურძენზე დიფერენცირება არ მოხდება. ამასთან სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების პროგრამებისთვის 25 მლნ ლარია განსაზღვრული.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის შალვა ფიფიას განცხადებით, „რთველი 2013-ის“ წარმატებით ჩასატარებლად მთავრობამ აქტიური მუშაობა დაიწყო. მინისტრის თქმით, წელს ერთი კილოგრამი ყურძნის ჩაბარების ფასი საშუალოდ 1 ლარი იქნება.

შალვა ფიფიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს „რთველი 2013-ს“ ფარგლებში მოსამზადებელი სამუშაოები და სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამები გააცნეს.

– საქართველოს მთავრობამ აქტიური მუშაობა დაიწყო რთვლის წარმატებით ჩასატარებლად. „რთველი 2013“ იქნება პირველი გადადგმული ნაბიჯი იმისათვის, რომ ბაზარზე თამაშის ახალი წესები დამკვიდრდეს. წინა პერიოდში სახელმწიფოს ჩარევა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და სახელმწიფო გამოდიოდა, როგორც ერთ-ერთი კონკურენტი მეღვინეობის სექტორისა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს სახელმწიფომ ჩაიბარა დაახლოებით 63% მთელი მოსავლის, რაც ნიშნავს, რომ კერძო სექტორმა ჩაიბარა გაცილებით ნაკლები, ვიდრე წინა პერიოდში. ჩვენ შევცვლით თამაშის წესებს. „რთველი 2013“ იქნება ისეთი, რომ გლეხი გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, ხოლო წარმოება – კიდევ უფრო თანამედროვე. ძალიან მნიშვნელოვანი წელია ჩვენთვის და მთელ რიგ ცვლილებებს ვაპირებთ ამ მიმართულებით, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

როგორც სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რთვლის წარმატებით ჩასატარებლად შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს.

– „რთველი 2013“ იქნება პირველი გადადგმული ნაბიჯი იმისათვის, რომ ბაზარზე თამაშის ახალი წესები დამკვიდრდეს, – აღნიშნა მინისტრმა შალვა ფიფიამ.

პრესკონფერენციაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა შეღავათიან აგროსესხების პროექტზეც ისაუბრა. მისი თქმით, შეღავათიან აგროსესხების პროექტს მეხუთე კომპონენტი დაემატება, გაიცემა შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის – 15-თვიანი სესხი 12-დან 15%-მდე, საიდანაც 9%-ს სახელმწიფო დაფარავს. 1 ლარად ან ერთ ლარზე მეტად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

ლევან დავითაშვილის განმარტებით, მიმდინარე წლიდან სახელმწიფო კერძო სექტორის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას და პარიტეტულობის შესანარჩუნებლად გლეხების დახმარებაზე იზრუნებს. მისი თქმით, მეწარმეებისთვის და მცირე ფერმერებისთვის მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებულ ყურძენზე დიფერენციაცია არ მოხდება.

– წელს ყურძენს 80-მდე მეწარმე ჩაიბარებს. სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, სუფსიდიის პროგრამა კომპანიებისთვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე განხორციელდება, – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა. მისი თქმით, რთველი აგვისტოს ბოლოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან დაიწყება.

ასე რომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართლაც სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს, მით უმეტეს, პოლიტიკურად ამ რთულ პერიოდში. აშკარაა, სამინისტროს არა მხოლოდ ოპოზიციური ძალები შეუტევენ გლეხების უკმაყოფილების შემთხვევაში, არამედ სავარაუდოდ, ფიფიას არც გუნდის შიგნით ელის სიმშვიდე.

# რას ედავებიან ფოთის მერს

შორენა კოწოწაშვილი

რაიონებში მართვის სადავეებს კვლავაც ნაციონალები ან ყოფილი ნაციონალები ინარჩუნებენ. მართალია, დღეს ამგვარი პოლიტჩახუტების შესახებ ბევრს შეიძლება არ ეჯეროს, მაგრამ იგივე ფოთელებმა კარგად იციან, რაც თვითმმართველი ქალაქის ხელმძღვანელობაში ხდება. ადგილობრივი მოსახლეობა არ მალავს, რომ მოქმედი ფოთის მერი დავით სარსანია, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ეროვნული ფორუმიდან მოხვდა, ფოთის საკრებულოს ნაციონალ წევრებს „ჩაეხუტა“ და რეალურად ქალაქში კვლავ ნაციონალების ინტერესები ტარდება.

ის, რომ ფოთის მერმა პოლიტორიენტირები აურია, ამაზე ადგილობრივი მედიასაშუალებებიც საუბრობენ. თვითმმართველი ქალაქის მაჟორიტარი ეკა ბესელია ამ ცოტა ხნის წინ ადგილობრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში არ მალავდა, რომ ფოთის მერი ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს, კომუნიკაციის პრობლემაა, რომ არაჯანსაღი ურთიერთობაა მერიასა, პარტიასა და დეპუტატს შორის.

ეკა ბესელია ინტერვიუში ამბობდა: „ხელი რომ გვეშლება ბევრი რაღაცის უკეთესად და სწრაფად გაკეთებაში, ცხადია. ეს არაჯანსაღი ვითარება, ცხადია, არ არის სასურველი, მაგრამ რომ გითხრათ, რომ ამის გამო ჩვენ რაღაც ტიპის პროექტს შევწყვეტთ ფოთში და არ გავაკეთებ რამეს, ასე არ არის. უფრო მეტს გავაკეთებ, მაგრამ თავისთავად ეს არის პრობლემა. ადამიანი როცა მერია, მას მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. მე ვერ წარმომედგინა, თუ ის ჩვენს საპირისპირო მხარეს დადგებოდა, მით უმეტეს, არავინ არაფერს არ სთხოვდა, გარდა იმისა, შეცდომა რომ არ მოგივიდეს, ჩვენ ყველა მოგეხმარებით ამაში. შეგვიძლია გირჩიოთ, მათ შორის სამართლებრივ საკითხებზე, უბრალოდ, საჭიროა გუნდთან კოორდინაცია. ის თქვა, რომ მე ვარ აქ ერთადერთი და მე უნდა მივიღო აქ გადაწყვეტილება, პატრულის უფროსს დავურეკო, შენ რომ ვინმეს დააკავებ, მე შემითანხმე და როგორ ბედავ ვიღაცის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მე გაჩვენებ სეირს, თათბირებზე იბარებ და ამბობ, მე ვარ აქ ყველაფერი და არავის არაფერს არ კითხავს, უკაცრავად, მაგრამ ასეთი ფეოდალური აზროვნების ადამიანები ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ. ასეთი იყო სააკაშვილი, აბაშიძე. ასე რომ ილაპარაკოს ქალაქის მერმა, მე ვარ აქ მთავარი და მე უნდა გადავწყვიტო, ასე ერთპიროვნულად პრემიერ-მინისტრიც არ იღებს გადაწყვეტილებებს, გუნდს ეთათბირება. მე გუნდის გარეშე გადაწყვეტილება არ მიმიღია. ყოველთვის ფოთელებს ვეძახი და ვეუბნები, ფოთელებო, თქვენ მირჩიეთ და მე შევასრულებ ამას“.

აღსანიშნავია, რომ ფოთში „ქართულ ოცნებაში“ არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე სხვა ადგილობრივი პარტიებიც საუბრობენ. რაც შეეხება თავად მერს, დავით სარსანიას, რომელიც ფოთის კუდის ყოფილი უფროსია, ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბარში ის აცხადებს, რომ ის იყო ერთ-ერთი, ვინც საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების შეცვლისთვის ბრძოლაში თავი გადადო. სარსანიას თქმით, მან ყველაფერი გაიღო, რომ ფოთში „ქართულ ოცნებას“ გაემარჯვა და მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს კოალიციის წარმატებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ფოთის მერთან დაკავშირებით ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვასთანაც არსებობს კითხვები, თუმცა რამდენად არგუმენტირებული და სამართლიანია ეს კითხვები, ამას დრო აჩვენებს, როცა შესაბამისი სამსახურები დადებენ ობიექტურ დასკვნას.

# TAGESSPIEGEL: „სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის ბრძანება საქართველოს პრეზიდენტმა 7 აგვისტოს გასცა“

პოპულარული გერმანული გამოცემა „თაგეშპიგელი“, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, სილვია შტობერის ანალიტიკურ წერილს აქვეყნებს.

გამოცემა, „სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში“ საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს.

რუსეთ-საქართველოს ომი ხუთი წლის წინ დაიწყო. საქმე ეხებოდა სამხრეთ ოსეთის მცირე ტერიტორიის მოპოვებას, თუმცა აღნიშნულმა, ამერიკელ დამკვირვებლებს პირველი მსოფლიო ომი მოაგონა, საქართველოს პრეზიდენტი კი გაერთიანებული ერების მხარდაჭერის შესახებ მცდარი ინფორმაციით დაძაბულობას ამწვავებდა.

„საქართველოს პორტებსა და აეროპორტებს ამერიკის თავდაცვის სამინისტრო აკონტროლებს, რათა განახორციელოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და სხვა მისიები. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაძაბულობის შესამცირებლად“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 13 აგვისტოს სატელევიზიო გამოსვლაში. თუმცა, სააკაშვილის სიტყვები ყველაფერს ემსახურებოდა, გარდა სიტუაციის დაწყნარებისა.

ხუთი დღით ადრე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული მწვავე კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა. რუსეთის ჯარი არა მარტო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მითვისებულ ტერიტორიებზე ახორციელებდა კონტროლს, არამედ საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ გორზეც და შავი ზღვის ფოთის პორტზეც.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დედაქალაქ თბილისთან უკან დაიხია. ინფორმაციული სიტუაცია აირია. მიუხედავად დროებითი ზავისა, იყო ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები თბილისის მიმართულებით გამოემართნენ. რამაც თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილში პანიკური შიში გამოიწვია.

იყო სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნაც. მაშინდელი რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი იხსენებს: – „იყო მთავრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემოთავაზება, თუმცა ჩვენ უარი განვაცხადეთ. ჩვენ გადავწყვიტეთ, თუ ჩვენ მოვკვდებით, მოვკვდებით სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. ჩვენ უკან არ დაგვიხევია.“

სააკაშვილს სჯეროდა, რომ რუსებს მხოლოდ ამერიკელების სამხედრო ჩარევა შეაჩერებდათ, თუმცა ეს არ მომხდარა. ამერიკის ჯარებმა მხოლოდ საქართველოს პორტებისა და აეროპორტების კონტროლი აიღო საკუთარ თავზე.

ამერიკას რუსეთთან კონფრონტაციის თავიდან არიდება სურდა.

„სააკაშვილის მტკიცებულებები, რბილად რომ ვთქვად, უტრირებულ იქნა. ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონ ბუშმა, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა ამერიკის ჯარების გემებსა და თვითმფრინავებს. ეს რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილი დელიკატური სიგნალი იყო. ბუშს კაბინეტის წევრებმა ურჩიეს საქართველოში სამხედრო დახმარების გაგზავნა, თუმცა გასაგები იყო, რომ ეს რუსეთთან უშუალო კონფრონტაციას გამოიწვევდა, რაც ამერიკის მთავრობას არ სურდა“ – ასე აღწერა სიტუაცია აწ გარდაცვლილმა ამერიკელმა დიპლომატმა რონ ასმუსმა. ევროპის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს მაშინდელმა მთავარმა მრჩეველმა დამონ ვილსონმა კი, ეს ვერსია დაადასტურა. ამერიკული საგუშაგო ხომალდები შავ ზღვაში მხოლოდ ტიპიური აღჭურვილობით მარაგდებოდა. თუმცა, სააკაშვილი დღემდე ამტკიცებს, რომ მათ შორის მძიმე სარაკეტო დანადგარებიც იყო.

ამავდროულად, თბილისის აეროპორტში ამერიკული სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი ჩ-17 დაფრინდა. რუსეთმა მისი გაყვანა მოითხოვა, ვინაიდან მათ, აეროპორტში შესვლის შემთხვევაში, იქ ამერიკული თვითმფრინავის არსებობა არ აწყობდათ.

ეტაპობრივი ესკალაციის პროცესი კი, არა რამდენიმე დღისა და თვის, არამედ რამოდენიმე წლის წინ დაიწყო. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, ქართველების შიდა კონფლიქტების საფუძველზე, თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბულობამ იმატა, რაც უსაფრთხოების ინტერესებიდან მომდინარეობდა. შემდგომი ელემენტი იყო ვლადიმერ პუტინსა და სააკაშვილს შორის არსებული პირადი ღრმა ანტიპათია საერთაშორისო ქმედებებთან დაკავშირებით, როგორიცაა კოსოვოსა და ნატოს ბუქარესტში აღიარება. 2008 წლის აგვისტოში კი ესკალაციის პროცესი გამწვავდა.

ჯერ კიდევ 2008 წლის მაისში, საქართველოს ნაწილობრივ რესპუბლიკას – აფხაზეთს, ღია ომის საფრთხე ემუქრებოდა. სიტუაციის დაწყნარებას ემსახურებოდა უშუალო მოლაპარაკებები აფხაზეთსა და საქართველოს შორის შვედეთისა და ამერიკის შუამდგომლობით, თუმცა მისი აღმოფხვრა ვერ მოხერხდა. ამერიკელებთან მოლაპარაკებაში ჩაერთო აგრეთვე გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი. თუმცა, ვაშინგტონთან კოორდინაცია რთული იყო. ამერიკის მთავრობა ზეწოლას ახდენდა ევროპის ვალდებულებაზე დამკვირვებლებთან და პოლიციელებთან, თუმცა ამას ბრიუსელი არ დასთანხმდა.

საქართველო შტაინმაიერს არ ენდობოდა. ქართველებმა მის მიმართ ნდობა აბსოლუტურად დაკარგეს. იაკობაშვილი გვიამბობს, რომ შტაინმაიერმა ჯერ კიდევ ივლისში, ბათუმში შეხვედრისას აღწერა სცენა, რაც რამდენიმე კვირის შემდეგ სამხრეთ ოსეთში გათამაშდა. ეს შტაინმაიერის მოსკოვთან ახლო ურთიერთობაზე ერთგვარი მინიშნებაც იყო. ამერიკის მთავრობის მხრიდან კი, გაფრთხილებები არ ყოფილა. ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა ამტკიცებს, რომ მათ თავის მხრივ სააკაშვილს მისცეს გაფრთხილება არ გაემწვავებინა რუსეთთან ურთიერთობა. მეორეს მხრივ, მათ განმეორებით აღნიშნეს, რომ ამერიკა სამხედრო დახმარებას არ გასწევდა.

ამრიგად, საქართველოს პრეზიდენტმა 7 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის ბრძანება გასცა. რუსეთის სამხედრო მანქანები ადგილიდან დაიძრნენ: 11 აგვისტოს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ამერიკის სახემწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს ჯარები ყაზარმებში ბრუნდებიან და საქართველოს მთავრობა ძალების გამოყენებაზე უარს აცხადებს. იგი აგრეთვე სააკაშვილის გადადგომასაც მოითხოვდა. რაისი თავის მემუარებში ამას, როგორც დიდ შეურაცხყოფას ისე აღწერს. ვაშინგტონში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის ჯარები თბილისში შევიდოდნენ და ამასთან შესაძლებელი იყო უკრაინის ნახევარკუნძულის, ყირიმის გააქტიურებაც. ამრიგად, გადაწყდა რუსეთისადმი მკვეთრი, თუმცა თავშეკავებული სიგნალის მიცემა: ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა საქართველოში, ამერიკის სამხედრო გემების პორტებსა და აეროპორტებში.

პოლიტოლოგი ჰილი აღნიშნავს, რომ მოსკოვთან ამჟამად პრაქტიკულად მხოლოდ საკომუნიკაციო არხი გაიხსნა. გაუგებარმა სიტუაციამ, საწინააღმდეგო ინფორმაციამ კონფლიქტურ ზონაში არსებულ სიტუაციაზე და არასწორმა გათვლებმა არსებული მდგომარეობა დაამძიმა.

„იმას, რომ ევროპის საზღვარზე გაჩაღებული მცირე ომის შედეგად სიტუაცია უარესად არ დამძიმდა, მხოლოდ რამდენიმე პიროვნებას უნდა ვუმადლოდეთ“ -განაცხადა ჰილმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მისი გაბედული ჩარევით სიტუაცია გაანეიტრალა, თუმცა იგი განხორციელებული ღონისძიებისა და დროებითი ზავის შეთანხმების გამო ძლიერ გააკრიტიკეს.

და ბოლოს სარკოზიმ გააკეთა ის, რაზეც მანამდე ევროპა ყოველთვის უარს აცხადებდა: 2008 წლის ოქტომბრიდან იგი სიტუაციის კონტროლს ადგილზე ახორციელებდა.

**სილვია შტობერი**

## გიორგი კვირიკაშვილმა დავით ბაქრაძესთან დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერთან დავით ბაქრაძესთან, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით საუბრის მიზნით დათქმული შეხვედრა გააუქმა და ამის მიზეზად გიორგი ვაშაძის განცხადება დაასახელა.

„ვაშაძის განცხადებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ „ნაციონულური მოძრაობის“ მხრიდან ეს შეხვედრა განიხილებოდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც წინასაარჩევნო პიარის ნაწილი და არა დიალოგის სურვილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე ვაუქმებ დათქმულ შეხვედრას და აღნიშნულთან დაკავშირებით, მთელ პასუხისმგებლობას დავით ბაქრაძეს და „ნაციონალურ მოძრაობას“ ვაკისრებ“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ვაშაძემ დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ქვეყანა ღრმა სტაგნაციაშია და ეკონომიკის მინისტრმა ამ საკითხებზე სასაუბროდ „დრო ვერ გამონახა“.

**მედიანიუსი**

## ვნუკოვოს აეროპორტში არალეგალური სათამაშო ზონის შექმნისთვის ქართველების ჯგუფი დააკავეს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მიერ, ვნუკოვოს საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქეების მიერ შექმნილი არალეგალური სათამაშო ზონა იქნა ლიკვიდირებული. დაკავებული ქართველები უკანონო ბიზნესის ორგანიზებაში არიან ეჭვმიტანილნი.

სამმართველოს მონაცემებით, აღნიშნულ ჯგუფს აეროპორტის ადმინისტრაციასთან კორუფციული კავშირი ჰქონდა და ფიქტიური ფირმის სახელზე, ლატარიის ტერმინალების დასაყენებლად არენდა ჰქონდა გაფორმებული, რის შედეგადაც, საქველმოქმედო ლატარიის გათამაშების ნიღბით, ეჭვმიტანილები აზარტული თამაშების ორგანიზებას ახდენდნენ.

სათამაშო აპარატები ფუნქციონირებდა ასევე მგზავრების რეგისტრაციის დარბაზში, ე.წ. გაფრენის „სტერილურ“ ზონაში. წინასწარი მონაცემებით, არალეგალური ტერმინალების ქსელს ეჭვმიტანილებისთვის თვეში 20 მილიონი რუბლის ოდენობის შემოსავალი მოჰქონდა. დანაშაულის დამადასტურებელი დოკუმენტები საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა.

**ნიუსპრესი**

## გარდაბნის გამგებელს აგენტობაში ადანაშაულებენ

გარდაბნის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე ტელმან გასანოვი რაიონის გამგებლის, ნუგზარ ჩადუნელის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვს.

ამის შესახებ განცხადება გასანოვმა გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისივე თქმით, ამ მოთხოვნით პარასკევს, 16 აგვისტოს საპროტესტო აქცია გაიმართება.

„გარდაბნის გამგებელი კუდი-ს უფროსის ყოფილი მოადგილის ვაჟა ლილუაშვილის აგენტია. გარდა ამისა, რაიონის ბიუჯეტიდან 1 700 000 ლარი დაიხარჯა ავტომობილების შესაძენად. ეს ავტომობილები გარდაბნის რაიონიდან გაიყვანეს. ფინანსური პოლიციისგან ვითხოვ, ეს საკითხი გამოიძიონ. გვსურს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შევხვდეთ, რომ ამ პრობლემების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ“, – აცხადებს ტელმან გასანოვი.

**მედიანიუსი**

# ბაჩო ახალაიას ადვოკატი დაკითხეს

## რას დაპირდა ხელისუფლებას ნანა კაკაბაძე

**ნათია ხურცილავა**



**საქალაქო სასამართლოში ბაჩო ახალაიას პროცესის პარალელურად განვითარებული მოვლენები გუშინ კვლავ გაგრძელდა. ამჯერად საქალაქო სასამართლოში ყოფილი პოლიტპატიმარ გიორგი გაბედავას სასამართლო პროცესი შედგა. გაბედავამ ხელწერილი დაწერა, რომ ის სასამართლოში გამოცხადდებოდა დაბარებისთანავე.**

გუშინ გიორგი გაბედავა საქალაქო სასამართლოში დაიბარეს, სადაც ის გამოცხადდა. საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა და მოსამართლემ უფლებადამცველს 100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

გაბედავას ჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაეკისრა.

– საზოგადოებას ვუხდი ბოდიშს ამ ფაქტისთვის, რომ თავი ვერ შევიკავე, მაგრამ არა ონიანს და სხვა ადამიანებს, ვისაც შეურაცხყოფა მივაყენე. სამწუხარო ფაქტია ის, რომ მხოლოდ მე დამაკავეს და ონიანი გარეთ დადის. ეს მეტყველებს ხელისუფლების უნიათობაზე, რომ ხელს ვერ კიდებენ ზონდერებს, კაცის მკვლელებს და ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში წამალს უდებდნენ ხალხს. მე პირადად მახსოვს, ონიანი როგორ არბევდა აქციებს, მაგრამ ის დღემდე თავისუფალია და, სამწუხაროდ, უფლებადამცველის სტატუსითაც კი სარგებლობს, – განაცხადა გიორგი გაბედავამ.

უფლებადამცველი გიორგი გაბედავა საპატრულო პოლიციამ მაშინ აიყვანა, როდესაც საქალაქო სასამართლოს ეზოში გაბედავამ ადვოკატ გიორგი ონიანს შეაგინა, მანამდე კი, როგორც გაბედავა აცხადებს, მას პოლიციისა და ტელეკამერების წინ ხელი გაარტყა. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო, ის პოლიციამ დააკავა და მოგვიანებით ხელწერილის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

გაბედავას სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე გაიმართა და სასამართლომ გაბედავასთვის ადმინისტრაციული სახდელის ოდენობაზე იმსჯელა და 100 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს მთელი დღის განმავლობაში თან ახლდა. საქალაქო სასამართლოს ეზოში განვითარებული მოვლენების შედეგად საპატრულო პოლიციამ სამი ადამიანი დააკავა, მოგვიანებით კი ყველა 100 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით გათავისუფლდა.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი დიდი დიღმის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვაზე დაიბარეს.

ონიანის დაკითხვა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მომხდარ ინციდენტს უკავშირდება.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკითხვა ახალაიას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ გიორგი ონიანსა და უფლებადამცველ გიორგი გაბედავას შორის ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებას უკავშირდება.

მოგვიანებით პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი ონიანის წინააღმდეგ საჩივრით პოლიციას აქტივისტმა გიორგი გაბედავამ იმის გამო მიმართა, რომ ონიანმა მას ხელი დაარტყა.

გიორგი ონიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც ცემას გულისხმობს. რაშიც, ონიანი აცხადებს, რომ ამ ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ არის.

ბაჩო ახალაიას ადვოკატმა გიორგი ონიანმა ჩვენება გუშინწინდელ ინციდენტთან დაკავშირებით მისცა.

როგორც დაკითხვიდან გამოსულმა ონიანმა პრესას განუცხადა, გაბედავა და მისი თანამოაზრეები ამ ხნის განმავლობაში უფლებამოსილების განხორციელებაშიც უშლიან ხელს, რაც გაცილებით მძიმე დანაშაულია.

– ჩემთვის გაურკვეველია, ადამიანს რატომ უნდა გაუკვირდეს ის, რაც მის მიმართ მოხდა, როდესაც იგინება, შეურაცხყოფას აყენებს ოჯახს, საახლობლოს, ისეთ რაღაცას, რაც მის უფლებამოსილებაში საერთოდ არ შედის და მისაზღვრავს, ვისი ადვოკატი უნდა ვიყო და ვისი არა. მე მომიწია, ამ ყველაფერზე მესაუბრა, რაც ხდება ბოლო თვეების განმავლობაში მისი და მისი მეგობრების მხრიდან სასამართლო პროცესზე, როგორ არის ადვოკატების მიმართ პროვოკაციები მოწყობილი, როგორ იგინებიან, როგორ შეურაცხყოფას გვაყენებენ და არ გვაძლევენ საშუალებას, ჩვენი უფლებამოსილება განვახორციელოთ. მან, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ეს ბევრად უფრო მძიმე დანაშაულია და ბევრად უფრო მძიმე მუხლით კვალიფიცირდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა, აქ არსებული ეპიზოდი, – განაცხადა ონიანმა.

როგორც ონიანი აცხადებს, მას გიორგი გაბედავა და მისი მეგობრები ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ადვოკატის უფლება-მოვალეობების შესრულებაში ხელს უშლიდნენ. ონიანმა ამის შესახებ ინფორმაცია პოლიციას მიაწოდა.

– ყოველ ჩემს მოსვლაზე გაბედავა და მისი ბანდა შეურაცხყოფას მაყენებს როგორც მე, ასევე ჩემს ოჯახს. ასევე მითვლის, რომ ერთადერთი მოთხოვნა აქვს – ბაჩო ახალაიას დაცვა შევწყვიტო. ამდენი თვის განმავლობაში ჩადიოდნენ დანაშაულს ჩვენ წინააღმდეგ და ჩვენ არ მიგვიმართავს პოლიციისთვის, ახლა აგონ პასუხი, – აცხადებს გიორგი ონიანი.

ნანა კაკაბაძემ გუშინწინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ხელისუფლება გააკრიტიკა. ის აცხადებს, რომ ახალმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით მოსახლეობის იმედები ვერ გაამართლა. როგორც კაკაბაძე აცხადებს, იმედების გაუმართლებლობაში გულისხმობს სამართლიანობის აღდგენის დაგვიანებას, ბაჩო ახალაიასთვის კი სიტყვა გამამართლებელი განაჩენის გაჟღერებას, თუნდაც ერთ-ერთ საქმეზე.

საქალაქო სასამართლოს ეზოში განვითარებული მოვლენების გამო პოლიციამ ასევე დააკავა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი წევრი ონისე გერგედავა. თუმცა, გერგედავა მოგვიანებით ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

– მოგზავნილები ჰყავდათ და სასამართლოს შენობის წინ პროვოკაციებს აწყობდნენ. ეს კი ყოვლად მიუღებელი იყო როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი მეგობრებისთვის. სწორედ ამიტომ დაიძაბა სიტუაცია. რაც შემეხება მე, ვიდექი ჩემთვის, არაფერი არ დამიშავებია, არანაირი შეხება არავისთან არ მქონია. უბრალოდ დამაკავეს. მე არ ვეთანხმები ბრალდებას, რადგან არავისთვის არ მიმიყენებია არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა.

ნანა კაკაბაძე იმედს გამოთქვამს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გადახედავს მომხდარს და სათანადო რეაგირებას მოახდენს.

– ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში სერიოზული უსუსურობა გამოამჟღავნა, რამაც საზოგადოებაშიც დაბადა განცდა იმისა, რომ ეს ხელისუფლება საკმაოდ სუსტია. ის კანონის აღსრულებას ან საზოგადოების დაცვას ახერხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქეთა მხარეს დგანან ნაკლებად დაცული ადამიანები და იქით მხარეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. ამ ადამიანების წინაშე ხელისუფლება ვერ ბედავს კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენებას, – აცხადებს კაკაბაძე.

# საგარეო უწყება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პასუხობს

**ნათია ხურცილავა**

**ცოტა ხნის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სამინისტროებში პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებულ თანამშრომლებთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა. ერთ-ერთი სამინისტრო, რომლის შესახებაც არასამთავრობო ორგანიზაციამ ანგარიში გამოაქვეყნა, საგარეო უწყებაც იყო.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშთან დაკავშირებით, გუშინ ორგანიზაციას დამატებითი განმარტებები გაუგზავნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგარეო უწყება სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც საუბრობს იმ მიზეზებზე თუ რა მიზეზით აღარ მუშაობს მათ უწყებაში 14 თანამშრომელი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეცნო ორგანიზაცია „საერთაშორისო გაუმჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ, 12 აგვისტოს გამოქვეყნებულ ანგარიშს – „საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში“ და მიზანშეწონილად ჩათვალა ორგანიზაციისა და საზოგადოებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მოცემულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროდან 14 თანამშრომელი გაათავისუფლეს, აქედან 11-მა (დაზუსტებულად 12) საკუთარი ინიციატივით დატოვა სამსახური.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიზანშეწონილად თვლის, საზოგადოებას და ორგანიზაციას დამატებით განუმარტოს, რომ აღნიშნული 11 პირიდან 8 პირმა სხვა სამსახურში გადასვლის მიზნით, ერთმა კი საზღვარგარეთ დროებით საცხოვრებლად გადასვლის გამო დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ და ყველა მათგანი ამჟამად სხვა სამსახურშია დასაქმებული. ორის გათავისუფლების საფუძველი გახდა რეორგანიზაციის შედეგად საშტატო ერთეულის შემცირება (საგანგებო დავალებათა ელჩები). აღნიშნული 14 პირიდან, 10 ჩარიცხულია დიპლომატიური სამსახურის რეზერვში.

რაც შეეხება დანიშვნის ნაწილში შეტანილ სტატისტიკას, საანგარიშო პერიოდში მართლაც დაინიშნა სხვადასხვა თანამდებობაზე 16 პირი. როგორც ორგანიზაციის ანგარიშშია აღნიშნული, ამ პერიოდში სამინისტროში არ იყო გამოცხადებული ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოებას და ორგანიზაციას დამატებით განუმარტავთ, რომ სამინისტროში კონკურსის გარეშე ყველა დანიშვნა განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ, 7 პირი დაინიშნა არადიპლომატიურ თანამდებობაზე. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ამ პუნქტში დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების“ შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 18 ნოემბრის 220-ე ბრძანებით დამტკიცებული წესის 81 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის დანიშვნა სამინისტროში არ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

საგარეო უწყების განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ დიპლომატიურ თანამდებობებზე დაინიშნა ხუთი პირი.

– საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროში 5 პირი დაინიშნა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მე-17 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები განსაზღვრავს პირთა კატეგორიებს, რომელთა უკონკურსოდ დანიშვნაც შესაძლებელია დიპლომატიურ თანამდებობებზე.

მოცემული 16 პირიდან, ერთი თანამშრომელი გადაყვანილ იქნა არადიპლომატიური თანამდებობიდან დიპლომატიურ თანამდებობაზე, რაც ასევე აისახა თქვენს სტატისტიკურ მონაცემებში, 1 პირი თანამდებობაზე დაინიშნა დიპლომატიური სამსახურის რეზერვიდან (რეზერვში იმყოფებოდა 2 წელი), 2 პირი დაინიშნა დროებით მოვალეობის შემსრულებლად და შემდგომ მათ მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, – ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მარტის თვეში ასევე გამოცხადდა კონკურსი.

– დამატებით გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის 7 მარტს ცენტრალური აპარატის 19 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით გამოაცხადა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. განაცხადების მიღება წარმოებდა 2013 წლის 20 მარტის ჩათვლით. სულ შემოვიდა 954 განაცხადი, კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. გამოცდების პირველი ტური ჩაატარა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, მეორე ტური – გასაუბრება კი ჩატარდა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ. შედეგად 18 ვაკანსიაზე (1-მა თავად თქვა უარი) გამოვლენილი გამარჯვებული დასაქმებულია სამინისტროში. კონკურსის შედეგად წარმატებული 50 პირი ჩაირიცხა სამინისტროს რეზერვში, რომლებიც ეტაპობრივად გაივლიან სამინისტროში სტაჟირებას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ მომავალშიც ითანამშრომლოს, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# გიორგი მარგველაშვილი: „სამჭკუაშვილი ვაარ, ქრისტე კი არა!“



„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, გუშინ, 14 აგვისტოს დილით, მეჯვრისხევში საქართველოს ფინანსთა მინისტრთან, ნოდარ ხადურთან ერთად იმყოფებოდა. საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

პირველ რიგში, მინისტადიონის მოედანზე შეკრებილებმა, მარგველაშვილს სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, ამჟამად, ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული ტარიელ გურგენიძის გათავისუფლება მოსთხოვეს. მცირე ფერმერებმა კი, რომელსაც მიწის ნაკვეთები 5 ჰა-ზე მეტი აქვთ, ბარათების დარიგება შეახსენეს. მარგველაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ, უპირველესად, სოფლის მეურნეობის ბარათებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ის კატეგორია დააკმაყოფილეს, რომლებსაც ყველაზე მეტად დახმარება ესაჭიროებოდათ. „რაც შეეხება თქვენნაირი კატეგორიის ძალას, რომელსაც შეუძლია ეკონომიკას უფრო დახმარება მოუტანოს, შეღავათიანი კრედიტების მიღების პროგრამაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება“ – უთხრა მარგველაშვილმა.

რამდენიმე ადამიანმა მარგველაშვილთან რუსეთთან გზების გახსნის დაგვიანების გამო, საყვედური უთხრა. „გვეგონა გზა მალე გაიხსნებოდა, ვაშლსა და ატამს გავიტანდით და წელში გავიმართებოდით“, რაზეც პრეზიდენტობის კანდიდატმა მიუგო, რომ ეს პროცესი დაწყებულია: „ღვინო ხომ გავიტანეთ? ბორჯომი ხომ გადის უკვე? ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება“ – უპასუხა მარგველაშვილმა.

„ჩვენ ღვინო არა გვაქვს, ჩვენ ატამი გვაქვს, ჩვენ რა სარგებელი მაგით?“ – კითხვითვე მიუგეს მეჯვრისხეველებმა. „ეხლა მე სამჭკუაშვილი ვაარ, ქრისტე კი არა, რომ ერთ თვეში რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს. იქნება, იქნება ყველაფერი“ – უთხრა მარგველაშვილმა.

სოფელში უკმაყოფილება სხვადასხვა პრობლემებზეც გამოთქვეს, ისეთი, როგორიცაა სარწყავი სისტემების ჯერ კიდევ გაუმართაობა. სარწყავი წყალი, ამჟამად, მეჯვრისხევის ტერიტორიული ორგანოში შემავალ სოფლებს თითქმის არ მიეწოდებათო. ამაზე მეჯვრისხეველებს პასუხს ფინანსთა მინისტრი სცემდა, რომლის განცხადებით, თანხა გამოყოფილია ტირიფონის არხიდან წყლის გადაქაჩვის თაობაზე.

გიორგი მარგველაშვილს მეჯვრისხევის საჯარო სკოლიდან 2011 წელს გათავისუფლებულმა პედაგოგმაც შესჩივლა: „თქვენს მაგივრად დირექტორმა სერთიფიცირებული პედაგოგი ხომ არ მიიღო?“ – ჰკითხა პრეზიდენტობის კანდიდატმა და, ამავე დროს, განათლების ყოფილმა მინისტრმა, რომლის პერიოდში ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას გათავისუფლებული პედაგოგების საქმიანობის შესწავლა დაიწყო. გათავისუფლებულმა პედაგოგმა უპასუხა, რომ იმ დროს როდესაც სკოლიდან გაათავისუფლეს, ერთი გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული:

„ჩავედი რესურსცენტრში შალვა სრესელთან, ვთხოვე, რომ მეორე გამოცდის ჩაბარებამდე დაეცდიათ ჩემთვის, მაგრამ სრესელმა დირექტორს დააბრალა, იმან გაგათავისუფლაო. დირექტორი კი სრესელს აბრალებს. დღემდე სამართალი ვერ ვიპოვე“ – განუცხადა ყოფილმა პედაგოგმა. მარგველაშვილმა მას კონკრეტერტული დაპირება ვერ მისცა.

შეხვედრაზე მარგველაშვილი მთავრობის მიერ ბოლო 9 თვის განმავლობაში გაკეთებულ საქმეებს ახსენებდა. მათ შორის ისეთ პროგრამებს, რომელიც განათლების სამინისტროს მეშვეობით განხორციელდა. საუბარი წიგნების უფასო დარიგებას, უმაღლეს სასწავლებლებში უფასო ფაკულტეტების შემოღებას შეეხო და ა.შ. მარგველაშვილმა ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის უფასო პროგრამაც ახსენა.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# „ცესკო-ს თავმჯდომარე პრეზიდენტის ზეწოლის შედეგად გადადგა“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის გადადგომა პრეზიდენტის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ზეწოლის შედეგია და საპარლამენტო ოპოზიციის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის პარლამენტის არჩევნების შემდგომი შედეგების პროგნოზირებაზე მიანიშნებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა. ზურაბ ხარატიშვილმა, გადადგომით პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც, შესაძლებელია, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობაზე უარყოფითად იმოქმედოს.

გადადგომის გადაწყვეტილება პრობლემების წინაშე აყენებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეფექტურ მუშაობას და, შესაძლებელია, გამოიწვიოს საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაცია. ამიტომაც, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საპრეზიდენტო პარტიის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველია, რადგანაც უცნობია, ვის წარადგენს პრეზიდენტი ცესკო-ს ახალ თავმჯდომარედ, რამდენად მისაღები იქნება დასახელებული კანდიდატები საზოგადოებისთვის, ვინ აირჩევს თავმჯდომარეს – საარჩევნო კომისია თუ პარლამენტი, რამდენად იქნება შენარჩუნებული საარჩევნო სტაბილურობა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის საკითხი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პოზიციით, საზოგადოება ვერ გაამართლებს ვერავითარ პოზიციას, რომელიც გადადგომის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს. „მიგვაჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ზეწოლის შედეგია და არა პასუხისმგებლობისგან გაქცევის, რადგანაც თუკი ზურაბ ხარატიშვილი ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომას აპირებდა, იგი გადაწყვეტილებას საარჩევნო პროცესის დაწყებამდე მაინც მიიღებდა.

მიღებული გადაწყვეტილება არ ხასიათდება მაღალი სამოქალაქო და სამართლებრივი პასუხისმგებლობით და საარჩევნო ადმინისტრაცია ჩიხში შეყავს. დღეს არსებობს მაღალი ალბათობა, რომ პრეზიდენტმა ცანტრალურ საარჩევნო კომისიას, ახალ თავმჯდომარედ შესთავაზოს ისეთი კანდიდატურა, რომლის მიმართაც, საზოგადოებას არ ექნება საკმარისი ნდობა და ვერ უზრუნველყოს არჩევნების სამართლიანი შედეგები“, – განაცხადა კაიკაციშვილმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, რომ ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის წარდგენა მოხდეს სამოქალაქო სექტორთან ფართო კონსულტაციის შედეგად. გადამწყვეტია, საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი ჩაერთოს ცესკოს ახალი თავმჯდომარის წარდგენის პროცესში, რათა მომავალი – 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიმართ, არსებობდეს სრულფასოვანი ნდობა.

**მედიანიუსი**

# „დემოკრატიული მოძრაობა“ სხვა პოლიტიკური ძალებიდან მხარდამჭერებისა და აქტივისტების გადასვლის შესახებ ინფორმაციას ოფიციალურად ადასტურებს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ოფიციალურად ადასტურებს ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას, პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძის მხარდასაჭერად „დემოკრატიულ მოძრაობაში“ და საარჩევნო შტაბებში სხვა პოლიტიკური ძალებიდან გადასული მხარდამჭერებისა და აქტივისტების შესახებ.

როგორც, „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი მიესალმებიან და პატივს სცემენ ყველა იმ ადამიანის პოზიციას, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაუჭირონ და მის პოლიტიკურ ძალას შეუერთდნენ.

„ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი პარტიის წევრთა წინაშე, რომლებმაც დაარსების დღიდან საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის წევრთა უსაფრთხოების რისკის ფასად, მაშინ როდესაც ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრობა პრაქტიკულად დაპატიმრების სანქციის ტოლფასი იყო, მიიღეს გადაწყვეტილება და გახდნენ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები. ასეთი ჩვენს პარტიას 30 000 რეგისტრირებული წევრი ჰყავს, თუმცა ჩვენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს ჩვენი თანამოქალაქეების უდიდესი რაოდენობის მიერ ბოლო პერიოდში გამოცხადებული ნდობა და მხარდაჭერა. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და დასაფასებელია ნებისმიერი ჩვენი თანამემამულის პოზიცია.

„დემოკრატიული მოძრაობა“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო დაადგეს რეალურად დემოკრატიული განვითარებისა და წინსვლის გზას. პარტიის ყველა ნაბიჯი, განცხადება და რეაგირება ტრადიციულად ნაკარნახევი იქნება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო და არა ვიწროპატიული ინტერესებიდან გამომდინარე“ -ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# გამოიყენებენ თუ არა ბიუჯეტს პიარისთვის?

*როლანდ ხოჯანაშვილი*

რა ხდება საქართველოში საბიუჯეტო თვალსაზრისით?! მართლა ისე ცუდადაა საქმე, როგორც პესიმისტები ამბობენ, თუ საოცნებოდ? საქსტატი და „ნაციონალური მოძრაობა“ საგანგაშო სიგნალებს გვაწვდის, ხადური ამბობს, რომ ყველა ვალდებულება შესრულდება, რაც მთავრობამ აიღო თავის თავზე. საერთოდ, საქსტატის ნდობა ნაკლებად აქვს მოსახლეობას, რადგან კარგა ხანია, საუბრობენ იმაზე, რომ არსებობს სამგვარი ტყუილი: კარგი, ცუდი და სტატისტიკა. ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ სიმართლის, პირადად, ნაკლებად მჯერა ბოლო წლებია, რადგან პოლიტიკა კარგა ხანია, მოტყუების და „დაბოლების“ ხელოვნებად აქციეს საქართველოში, ეს კი საუკეთესოდ გამოსდიოდა „ნაცმოს“.

რამდენიმე იმერული მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებაზე ინფორმაციის მოძიება დავიწყე და მხოლოდ ქუთაისში აღმოჩნდა საგანგაშო მდგომარეობა. მწარე ანონსი გაკეთდა ქუთაისის საბიუჯეტო კრიზისზე. საუბარია 6 მილიონიან სეკვესტრზე, ამჟამად 1 800 000 ლარია დეფიციტი ქალაქის ბიუჯეტში და დანარჩენ მცირე მუნიციპალიტეტებში 100%-ზე მეტად ბიუჯეტის შესრულება ეკონომიკურ აღმავლობის შთაბეჭდილებას უკვე ვეღარ ქმნის, რადგან ქუთაისი მოსახლეობის რაოდენობით მხოლოდ თბილისს ჩამორჩება. თუმცა ქართველები გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და ამ საკითხზე კომენტარი „ახალმა თაობამ“ ქუთაისის ვიცემერს, ბატონ თენგიზ თოფურიძეს, სთხოვა. მან აღნიშნა: „საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ახალი მმართველობის სასტარტო მდგომარეობა ფინანსების კუთხით სავალალო გახლდათ. კრიტიკას ვერ უძლებს არაფინანსური აქტივების (ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის პრივატიზება) კლების მაჩვენებლის კუთხით გაწეული საქმიანობა, აღნიშნული სახეობის წლიური გეგმის დამტკიცებული პარამეტრი 4587,0 ათასი ლარს შეადგენს, ფაქტიური შესრულება კი – 435,4 ათას ლარს, რა გეგმის 9,5%-ია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსული თანხების უმეტესობა შეადგენს 2012 წლის ბოლოს პრივატიზებული ობიექტების ღირებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ შემოსავლებში ქონების პრივატიზებიდან მისაღები შემოსავლების ხვედრითი წილი 27%-ია. დღესდღეობით, ქ. ქუთაისის თვითმმართველობა ადასტურებს, რომ არის მემკვიდრეობით დატოვებული ფინანსური პრობლემები, მაგრამ ამასთანავე არსებობს პრობლემის გადაწყვეტის გეგმაც. ხარჯების კონტროლის საფუძველზე წლის ბოლომდე უნდა მოხდეს ბიუჯეტით ნაკისრი ყველა ვალდებულების დაფინანსება. სეკვესტრი არ მოხდება.“ როგორც ვხედავთ, ქუთაისის ახალი ხელისუფლება საბიუჯეტო პრობლემებს წინა ხელისუფლებას „აბრალის“.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №13 სხდომაზე დამაიმედებელი ინფორმაცია მოვისმინე: საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის, გივი კიკნაძის, მტკიცებით, საკრებულოს ექვსი თვის საბიუჯეტო შემოსავალი 104,8 %-ით შესრულდა, რაც ჯამში 1 177 600 ლარს შეადგენს. სხვათაშორის, ჭიათურის საკრებულოს ერთმა წევრმა სხდომაზე გარკვევით თქვა, რომ შარშანდელ ბიუჯეტთან დაკავშირებით უპასუხისმგებლო ინფორმაცია გასცეს ხელმძღვანელმა პირებმა ჟურნალისტებთან, მერე მათ ცალკე კიდევ დაამატეს გაურკვეველი საკითხები და ახლაც ნუ ილაპარაკებთ უსაფუძვლოდო. იმ მომენტისათვის ყურადღება არ მივაქციე ამ განცხადებას, შემდეგ კი მივხვდი, რომ საუბარი იყო ჩემ მიერ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ წერილზე, რომელიც ეხებოდა ჭიათურაში 13 მილიონ ლარამდე წინასაარჩევნო ხარჯს. აღნიშნული საკრებულოს წევრი კი „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის, პროკოფი ჩიკვილაძის, ძმა ყოფილა. მე და ბატონ პროკოფს რა „შეხმატკბილებული“ ურთიერთობა გვქონდა, ეს მთელმა მუნიციპალიტეტმა იცოდა.

საბედნიეროდ, საჩხერის მუნიციპალიტეტიც არ უჩივის ბიუჯეტის მიმდინარე მდგომარეობას და 100%-ს სცილდებიან ივანიშვილის მშობლიურ მხარეშიც.

აღნიშნული მუნიციპალიტეტების გარდა საბიუჯეტო მდგომარეობაზე ინფორმაცია მოგვაწოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტმაც: „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის ექვსი თვის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში შეადგინა 2097.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 2733.9 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2012 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ შემოსულობებთან შედარებით 408.9 ათასი ლარით ნაკლებია, 2012 წლის ექვს თვეში მიღებულია 3142.8 ათ. ლარის შემოსულობები, გასულ წელთან შედარებით შემოსულობების ნაკლებობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების გამო, ვინაიდან მიმდინარე წლის ექვს თვეში ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ათვისება, თუმცა უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, გაფორმებულია ხელშეკრულებები და ეტაპობრივად მოხდება ტრანსფერების მოთხოვნა და დანიშნულებისამებრ გადარიცხვა. მიმდინარე წლის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 130.4 პროცენტით და გეგმის ზევით მობილიზებულია 636.6 ათასი ლარის შემოსულობები.“ როგორც ხარაგაულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი აცხადებს, საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 16.0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 33.1 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი დაგეგმილი 23.8 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 219.8 ათასი ლარი.“ ნამდვილად შთამბეჭდავი ციფრებია, მით უფრო, თუ გადავიყვანთ პროცენტებში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხარაგაული უკვე კომუნიზმსა და პოსტინდუსტრიალიზმს გადასცდა: საწარმოთა ქონების გადასახადი 200%-ზე მეტითაა მიღებული, ხოლო მიწების გადასახადი– ლამის 900%-ით.

სამწუხაროდ, ყველა მუნიციპალიტეტზე ინფორმაციის შეგროვება ვერ მოვახერხე, თუმცა მისი ერთ საგაზეთო სტატიაში მოქცევა მაინც შეუძლებელი იქნებოდა.

როგორი ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს ქვეყანას, როცა მინისტრი ხადური აცხადებს ასეთ რამეს (იმედია, მართალი ინფორმაციაა და 2012 წლის ბიუჯეტს შეეხება): „გადასახადების ნაწილი ობიექტურადაა წინასწარ გადახდილი, მაგალითად დღგ-ის გადასახადი ობიექტურადაა წინასწარ ამოღებული, მაგრამ სამწუხაროა, რომ დღგ-ის გარდა, სხვა გადასახადებიც ზედმეტად ამოღებულია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ზესტაფონის რაიონში მუშაობს ერთი მსხვილი საწარმო, თუმცა არ გეტყვით რომელი. ამ საწარმოს შარშან 1 200 000 ქონების გადასახადი ზესტაფონის ადგილობრივ ბიუჯეტში ზედმეტად გადაახდევინეს. ის ფული წინასაარჩევნოდ ფასადების შეღებვას და კიდევ სხვა პროცესებს მოხმარდა. წელს ეს საწარმო ამბობს, რომ აღარ გადაიხდის, იმიტომ რომ შარშან ორმაგი გადაიხადა. ეს არ არის ერთეული შემთხვევა, ასეთი ფაქტები ბევრია, მათ შორის ზედმეტადაა გადახდილი საშემოსავლო, ქონების, მოგების გადასახები. ახლა სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მათი ზუსტი ოდენობის დასადგენად.“

მთვარი ფინანსისტი აცხადებს, რომ გადასახადი ზედმეტად 351 693 საწარმოს აქვს გადახდილი გასულ სამეურნეო წელში. ამის შემდეგ, ნაკლებად უნდა ტრაბახობდეს რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომ მათი უმრავლესობაში ყოფნის ჟამს „ჰეფი ეპოქა და ფინანსები“ იყო. თუ ხადური ცრუობს, მაშინ უმცირესობაში მყოფები რატომ არ აქვეყნებენ საწინააღმდეგოს? „ატკატები“ და ათასგვარი მაქინაცია ფინანსებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ხდება, რადგან არაფერი ისე არ ახვევს თავბრუს საზოგადოებას, როგორც ციფრები!

როცა ვეცნობოდი მუნიციპალიტეტის ანგარიშებს აღნიშნულ საკითხზე, ყველგან გარკვევით არის ნათქვამი, რომ შარშანდელი საბიუჯეტო მდგომარეობა ტრანსფერებზე იყო ძირითადად დამოკიდებული. რატომ არ მოხერხდა შარშანდელის მსგავსად სოფლის მხარდამჭერი პროექტებისათვის მუნიციპალიტეტებში თანხების გადმოსროლა?! მუნიციპალიტეტებში არის პასუხი: გვქონდა საკუთარი შესაძლებლობები, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ბოლომდე და ამის შემდეგ მივიღებთ „ზემოდან“ გადმორიცხვებსო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ მისასალმებელი ფაქტია, თუმცა საქართველოში ბევრი რამე ემსახურება პიარს, მით უფრო–არჩევნებს. თუ სამეურნეო წლის მეორე ნახევარში მოხდება თანხების მობილიზება ცენტრიდან პერიფერიებისკენ, ეს ფაქტი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიტუაციაზე (პოლიტიკურ „წისქვილზე“) წყლის დასხმის ეფექტად გამოჩნდება.

# საკრებულო და მერია 17 მილიონს ვერ იყოფენ

მერი ნამორაძე

თბილისის მერმა საკრებულოს ბიუჯეტის ახალი პროექტი უკვე წარუდგინა, რომელიც დაახლოებით 17 მილიონი ლარის ცვლილებას ითვალისწინებს. გახდება თუ არა თანხების გადანაწილების პროცესი განხეთქილების საბაბი თბილისის მერიასა და საკრებულოს შორის, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მანამდე კი საკრებულოს წევრებს ეჭვები უჩნდებათ ბიუჯეტის პროექტის მიმართ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშიას მოსაზრებით, მერია ცდილობს, სოციალური საკითხით შეფუთოს სხვა ცვლილებები და ისე შეაპაროს საკრებულოს წევრებს. მისი თქმით, ზოგადად ცვლილება ეხება 75 მილიონს და აქედან 59 მილიონი არის მუხლიდან მუხლში გადატანილი, ხოლო 16,500 მილიონი ბიუჯეტში მატებაა ეკონომიის ხარჯზე. 75 მილიონიანი ბიუჯეტის 10%-იანი ცვლილება არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, ამიტომ უმრავლესობამ უნდა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი.

–ერთი რამ ცალსახაა, ქალაქის მერი გვესაუბრება ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომლებზეც ბიუჯეტში უკვე იყო თანხები და ეს ბევრ შეკითხვას ბადებს. პირველი და უმთავრესი, ქალაქის მერია ითვალისწინებს, რომ უნდა განხორციელდეს დამატებითი დაფინანსება შემდეგ პროგრამებზე: ეს არის სატრანსპორტო პარკის განახლება, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა თბილისს შემოერთებულ სოფლებში; საბავშვო ბაღების დაფინანსების გაზრდა; სახელოვნებო სკოლების კეთილმოწყობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

სამუშიამ ეჭვების გასამყარებლად გუშინ „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში რაიონების გამგებელთა მიერ გადაცემული ბიუჯეტი წარმოადგინა, სადაც გათვალისწინებული ჰქონდათ, მაგალითად, გლდანის გამგეობას შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგებაზე სამი მილიონი. იგივე ვითარებაა სამგორის რაიონში; ვაკეში მილიონზე მეტია ჩადებული, რაც უნდა დახარჯულიყო მცირე მონაკვეთის სანიაღვრეების მოწყობაზე, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობაზე.

– წლების წინ ქალაქს შემოერთებულ სოფლებში ქვა-ქვაზე არ დადებულა წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის. საუბარია სამგორში შემავალ სოფლებზე – ნასაგურზე, გიორგიწმინდაზე, გლდანზე, მუხიანის დაჩებზე, გლდანულაზე, ვაკეს შეერთებულ აგარაკებსა და სოფლებზე, ტაბახმელასა თუ კოჯორზე. თანხები ამ ტერიტორიებზე წყლის პრობლემის გადასაჭრელად ბიუჯეტში იდო. ეს მუხლები არსებობს, არ დახარჯულა თანხა და ამ დროს ქალაქის მერი კიდევ ამდენ თანხას ითხოვს. შეკითხვები გვაქვს ქალაქის მერთან, რატომ არ იხარჯებოდა? – იკითხა გუშინ სამუშიამ. მით უმეტეს, რომ სპეციალისტთა მიერ 2012 წელს მომზადდა პროექტები წყლის სისტემის განსაახლებლად. მაგალითად, სოფელ თხინვალსა და მიმდებარე სააგარაკე დასახლებას ახალი წყლის სისტემა რომ ჰქონოდა, 150 ათასი ლარი ჯდებოდა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა.




საბავშვო ბაღებისათვის თანხების ზრდა ერთადერთი საკითხია, სადაც უპრობლემოდ თანხმდება მერია და საკრებულო. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ძალიან ბევრი ბავშვი ბაღებს გარეთ დარჩა, საუბარია დაახლოებით 18 ათას ბავშვზე.

– ეს რისი ბრალია? იმის, რომ 30-35 ბაღი თბილისის მერიამ დახურა. მას დაარქვა ოპტიმიზაცია და ფაქტიურად დახურა. ახალი ბაღების მშენებლობა უკვე ახალ ხარჯებს ითხოვს. დღევანდელი მერი ის ადამიანია, რომელმაც ბაღები გაუძვირა თბილისელებს, დღეს გვთხოვს, რომ 17 მილიონი მივცეთ. ჩვენ თანახმა ვართ, გაიზარდოს ბაღების დაფინანსება. ამის პარალელურად უცებ ვხედავთ, რომ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა იზრდება 3 მილონ 200 ათასით მაშინ, როდესაც მთლიანობაში ეს არის 21 მილიონი, – აღნიშნა სამუშიამ.

ორიოდე წლის წინ ზუსტად იგივე სტრუქტურა ფინანსდებოდა 10 მილიონით. სამი მილიონით ზრდა კი ეჭვს ბადებს საკრებულოში, ხომ არ უკავშირდება ეს ინიციატივა მერიაში შექმნილი ზონდერების სტრუქტურის კიდევ გაძლიერებას. ასეთად სამუშიამ მერიის უსაფრთხოების სამსახური დაასახელა. მერმა კარგად იცის საკრებულოს დამოკიდებულება ამ სამსახურის მიმართ და ეჭვობენ, რომ თუ საკრებულო მის გაუქმებას მოითხოვს, ამ ადამიანებს გადაიყვანენ საგანგებო სიტუაციების სამსახურში.

მერიის სპეცორგანოს „თბილისის კორპუსის" თანხების ხარჯვაც კითხვის ქვეშ აქვთ დაყენებული საკრებულოს წევრებს. თავის დროზე ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს თანხები უნდა წასულიყო ავარიული კორპუსების გასამაგრებლად ნაცმოძრაობის აგიტატორების დაფინანსების ნაცვლად. დღეს კი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში ცვლილება ისეა განხორციელებული, რომ ჩადებულია 10 მილიონი, მაგრამ ეს თანხა შენობების გამაგრებაზე კი არ არის გათვალისწინებული, არამედ საგანგებო-გადაუდებელი სიტუაციისთვის სამი მილიონი, ერთ-ერთ რაიონში ფანჩატურებისა და სკვერების მოსაწყობად 700 ათასი ლარი და ასე შემდეგ.

– ამ 700 ათასით თბილისს შემოერთებული 2-3 სოფელი შეიძლება წყლით მოვამარაგოთ. რა უფრო აუცილებელია, იმ სოფლებს წყალი მივცეთ თუ ფანჩატური ავაშენოთ სკვერში. ერთი წლით ხომ შეიძლება გადავწიოთ ეს პრობლემა. თუნდაც სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, რომელიც ძალიან საინტერესო მუხლია და ძალიან კარგია, მაგრამ მწვრთნელთა დასახმარებლად მხოლოდ 16 ათასია გათვალისწინებული, სპორტული ღონისძიებებზე უკვე ნახევარი მილიონია გათვლილი. ეს მუხლები ისეა გადანაწილებული, სადაც ადვილია ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა. ეს უნდა გაშიფროს მერიამ, დაუსაბუთოს საკრებულოს, რატომ არის კონკრეტულ მუხლებში ეს თანხები. გადაუდებელი სიტუაციის მართვას რომ 3 მილიონს უმატებ, ამას არ უნდა დასაბუთება? ან წყალგაყვანილობაზე რომ უმატებს, კონკრეტული პროექტები არსებობს? ან ის თანხები როგორ გაიხარჯა, რაც მანამდე იდო ამ მუხლში, ან დაიხარჯა კი? როგორც ვიცი, სამგორსა და გლდანში ამ კუთხით ქვა ქვაზე არ დადებულა. არადა, თანხა დიდია, რომლითაც ერთ წელიწადში შეიძლებოდა წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება, – აღნიშნა სამუშიამ.

რაც შეეხება ტრანსპორტის განვითარებას, მერიამ 13 მილიონის დამატება ითხოვა. ამ კუთხით ხარჯვით ნაწილზე შეკითხვა ბევრია, თუნდაც რატომ ჩამოიყვანეს ჩვენს კლიმატზე გაუთვლელი ავტობუსები, რომლებიც არ კონდიცირდება. მერია თანხების გაზრდას ახალი ავტობუსების შესაძენად ითხოვს. ამას სამუშია მიესალმა, თუმცა იქვე დასძინა, რომ მანამდე არსებული თანხებითაც შეიძლებოდა ავტოპარკის განახლება და თანამედროვე ავტობუსების შემოყვანა. სად მიდიოდა, რა მიმართულებით მიდიოდა თანხები წლების განმავლობაში, რაც ამ მუხლებში იყო, ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება.

მოკლედ, სამუშია ირწმუნება, რომ დამთავრდა ის დრო, როცა მერია ბრძანებდა – „ჩვენ ასე გვინდა!" ქალაქის მერმა კონკრეტულ კითხვებს კონკრეტული პასუხები უნდა გასცეს და დაარწმუნოს საკრებულო თანხების მიზნობრიობაში.

# „რექტორობის ყველაზე მეტი შანსი ვლადიმერ პაპავას აქვს"

მერი ნამორაძე

16 აგვისტოს ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ რექტორს აირჩევს. ამჟამად უნივერსიტეტს 14 რექტორის კანდიდატი ჰყავს. „თავისუფალ სტუდენტთა კავშირში", რომელიც არჩევნების მონიტორინგს ახორციელებს, ამბობენ, რომ წინასაარჩევნო მონიტორინგი უკვე დასრულებულია. როგორც „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის" თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მეტრეველმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან არ დაფიქსირებულა რომელიმე კანდიდატის ღია მხარდაჭერა და საარჩევნო პროცესში ჩარევის ფაქტი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველა კანდიდატს შეუქმნა თანაბარი პირობები და მათ საშუალება ჰქონდათ შეზღუდვის გარეშე პროფესორებისა და სტუდენტებისათვის გაეცნოთ თავიანთი პროგრამა.




რექტორის არჩევა ფარული კენჭისყრით მოხდება. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ უკეთესი იქნებოდა, ღია ყოფილიყო კენჭისყრა და აკადემიური საბჭოს წევრებს ღიად დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია, თუმცა ეს მათი მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული. საბჭოში ჯერ კიდევ ის ადამიანები რჩებიან, რომლებიც, მეტრეველის თქმით, არაფერს აკეთებდნენ უნივერსიტეტისთვის.

თავისუფალ სტუდენტთა კავშირმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო, დაედგინა სტუდენტთა დამოკიდებულება უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებისადმი. კვლევა ჩატარდა 17-26 ივლისს და გამოკითხულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 369 სტუდენტი. შეფასდა როგორც აკადემიური საბჭოს საქმიანობა, ასევე კანდიდატებისადმი მხარდაჭერა.

– კანდიდატთა შორის საგრძნობი უპირატესობით ლიდერობს ბატონი ვლადიმერ პაპავა, მას გამოკითხულთა 63 პროცენტი უჭერს მხარს. მეორე ადგილზე იმყოფება ქალბატონი მარინა მუსხელიშვილი, რომელსაც გამოკითხულთა 8 პროცენტი უჭერს მხარს, მესამე ადგილზე – ქალბატონი მარინა ჩიტაშვილი, მას 6 პროცენტი უჭერს მხარს. დანარჩენი კანდიდატების პროცენტული შედეგი 2%-ს ქვევით არის, – აღნიშნა მეტრეველმა.

აკადემიური საბჭოს მიმართ დამოკიდებულება არცთუ სახარბიელოა, რასაც ლოგიკურს უწოდებენ თავისუფალ სტუდენტთა კავშირის წევრები. მათი თქმით, საბჭო წლების განმავლობაში უუნაროდ მოქმედებდა და არანაირი რეაგირება არ იყო ბევრ დანაშაულებრივ ფაქტზე. მეტრეველის თქმით, მთავარი ტესტი საბჭოსათვის სწორედ 16 აგვისტო იქნება, მიეცემათ შანსი, წარსულში ჩადენილი დანაშაული გამოისყიდონ.

მეტრეველს იმედი აქვს, რომ იმ პირობებში, როცა ხელისუფლება შეიცვალა და არ შეინიშნება საბჭოს წევრებზე ზეწოლის ფაქტები, არჩევნები ობიექტურად წარიმართება. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგიც შესაბამისი დადგება და სტუდენტთა დიდი ნაწილი მზად არის, საკუთარი უფლებები დაიცვას.

# შსს–მ აჭარაში ტრეფიკინგის 4 ფაქტი გამოავლინა




შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული უზბეკეთის მოქალაქე ნარგიზბეგიმ რახმანოვას მიერ, აჭარაში ჩადენილი ტრეფიკინგის 4 ფაქტი გამოავლინეს. მას აღნიშნულ დანაშაულზე ბრალი დაუსწრებლად უკვე წაუყენეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ, მას ბრალი 22 მაისს, სოფელ ბეშუმთან მოკლული უზბეკეთის მოქალაქის, რაიხონ კ.-ს მკვლელობის დაკვეთის ფაქტზეც წაუყენეს. ნარგიზბეგიმ რახმანოვამ საქართველო 31 მაისს დატოვა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნარგიზბეგიმ რახმანოვა საქართველოში 2012 წელს ჩამოვიდა. მან 2012-2013 წლებში ბათუმში უზბეკეთის 5 მოქალაქე, მათ შორის მოკლული რაიხონ კ., პროსტიტუციაში მოტყუებით და იძულებით ჩააბა. უზბეკეთიდან ჩამოსულ ქალბატონებს ის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ართმევდა და ბათუმის სასტუმროებსა და ღამის კლუბებში ამუშავებდა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ტრეფიკინგის ფაქტზე, სსსკ-ს 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, 143-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ნარგიზბეგიმ რახმანოვას მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით უზბეკ სამართალდამცველებთან აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# ინტერპოლის მიერ ძებნილი იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხიტუნიძე დააკავეს



მიმდინარე წლის 13 აგვისტოს საბერძნეთში, ქალაქ ათენში, თბილისის ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკაში გაფრენის მცდელობის დროს, ათენის აეროპორტში, საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1974 წელს დაბადებული დავით ჩხიტუნიძე დააკავეს.

ჩხიტუნიძეს ბრალად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ორ ეპიზოდად) და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დავით ჩხიტუნიძემ, ეკავა რა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობა, უკანონოდ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე, არაერთხელ მოახდინა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებულ გერონტი ალანიას რამდენიმე დღით უკანონო გამოყვანა, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოს მან, დოკუმენტების გარეშე, სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, სასჯელაღსრულების №10 დაწესებულებიდან 14 დღის ვადით უკანონოდ გამოიყვანა ოთხი მსჯავრდებული: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით.

დავით ჩხიტუნიძის მიმართ თბილისის ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე, ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ, მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, საერთაშორისო ძებნა წითელი ცირკულარით გამოაცხადა.

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს, დაკავებულს წინა საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ ამჟამად კანონით გათვალისწინებული პროცედურები მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# შსს–მ მკვლელობა მომხდარიდან ერთ საათში გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული რეზო ე. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 13 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში, ბებიასთან სტუმრად მყოფი 1976 წელს დაბადებული იროდიონ კაპანაძე გაგუდა და მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ჭაობში გადააგდო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

ეკა ირემაშვილი

# რისთვის შეიქმნა კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის ფონდი?

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მისი მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებით, „კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი" შეიქმნა. მისი მიზანია საკანონმდებლო ინიციატივა კულტურაში ქველმოქმედების სტიმულირებისთვის კულტურის სფეროს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერისთვის. ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძო შემოწირულობებიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან დაფინანსდება.

ფონდის მისიას წარმოადგენს ქართული კულტურის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება და ქართულ და უცხოურ ბაზრებზე ნიშების შერჩევა, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების და ორგანიზაციების მატერიალური მხარდაჭერა, ასევე კულტურის სფეროს პოპულარიზების მიზნით მედიასაშუალებებთან ურთიერთობა.

გურამ ოდიშარიას ბრძანების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ საინვესტიციო ფონდი კომერციულად მომგებიან პროექტებს დააფინანსებს; ასევე, კულტურის მენეჯერებისთვის გაცვლით პროგრამებსა და ვორქშოფებს მოაწყობს.

ამავე ბრძანების მიხედვით, ფონდი განუსაზღვრელი ვადითაა შექმნილი. მას აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში. საინვესტიციო ფონდს დამოუკიდებლად ექნება გადაწყვეტილების მიღების, შინაგანაწესის, სტრატეგიისა და სამუშაო მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების უფლება. სესხის აღება, ქონების შეძენა, გაყიდვა და ვალდებულებით დატვირთვა, საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა ფონდს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მოუწევს.

ფონდი დარეგისტრირებულია კულტურის სამინისტროს მისამართზე და ცნობილი ხდება, რომ მას ეყოლება დირექტორი, რომელიც კულტურის მინისტრის ბრძანების მიხედვით დაინიშნება და გათავისუფლდება. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის ფონდის საქმიანობას კულტურის სამინისტრო გააკონტროლებს.

გურამ ოდიშარიას ახალ ბრძანებას „ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება №05/4

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდის შექმნის შესახებ" საქართველოს



პრეზიდენტის 2013 წლის 1 ივლისის №525 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდის თანდართული დებულება.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი მირიანე ოდიშარია

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი" (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და ამ დებულების საფუძველზე დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას.

2. ფონდის დამფუძნებელია სახელმწიფო.

3. ფონდის სრული სახელწოდებაა – „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი".

4. ფონდს აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, შტამპი, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. ფონდი უფლებამოსილია, თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები, დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

5. ფონდი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

6. ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქ. №4.

მუხლი 2. ფონდის მიზნები

ფონდის მიზნებია:

1. ქართული კულტურის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა-შესაფასება, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ოპტიმალური ნიშების შერჩევა და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება;

2. ქართული კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და ორგანიზაციების კულტურის სფეროების ბაზრებზე ორიენტირებული მუშაობის ხელშეწყობა და იმ ახალგაზრდების სტიმულირება, რომლებიც კულტურის სფეროში მოღვაწეობაზე აკეთებენ არჩევანს;

3. ქართული კულტურის აღმავლობისა და ფინანსური მდგრადობის მიღწევის ხელშეწყობა საინვესტიციო და კომერციული პროექტების განხორციელების გზით;

4. კულტურის მოხმარების ზრდის ხელშეწყობა სხვადასხვა მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების საშუალებით;

5. საქართველოს კულტურის სფეროს ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ამოცანების შესრულება.

მუხლი 3. ფონდის საქმიანობის საგანი

1. ფონდის საქმიანობის საგანს წარმოადგენს კულტურის სფეროს კომერციალიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ: ინვესტიციები კომერციულად მომგებიან პროექტებში; ინვესტიციები კულტურის მოხმარებაზე ორიენტირებულ პროექტებში; გაცვლითი პროგრამებისა და ვორქშოპების ორგანიზება კულტურის მენეჯერებისათვის; ხელოვანებისა და შემსრულებლების ხელშეწყობა მათ საქმიანობაში, მათ შორის საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებსა და აუქციონებზე საკუთარი პროდუქციის წარმოჩენაში; გამოფენებისა და აუქციონების მოწყობა (მათ შორის საერთაშორისო სააუქციონო სახლებთან და მუზეუმებთან თანამშრომლობით) ხელოვნების ნიმუშებისა და ანტიკვარიატის ბაზრის მოწესრიგებისათვის.

2. ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა.

მუხლი 4. ფონდის უფლება-მოვალეობანი

1. ფონდს თავისი მთავარი ამოცანის შესრულებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს: მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება პროექტების არჩევისას; ისარგებლოს მის მიერ შექმნილი პროდუქციით; აწარმოოს მოლაპარაკებანი და დადოს გარიგებანი, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებანი როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან; დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი საქმიანობის სტრატეგია და მეთოდოლოგია; შეიმუშაოს ფონდის შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსაზღვროს სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე ფონდის დებულების შესაბამისად.

2. ფონდს მხოლოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა; სესხის აღება; თავდებობა; საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა; თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე ფონდის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა; სხვა გადაწყვეტილებები ფონდის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

4. ფონდი ვალდებულია: წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად; წარმართოს შრომითი ურთიერთობანი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად; შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

მუხლი 5. ფონდის ხელმძღვანელობა

1. ფონდის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, „საჯარო სასამართლოს იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. ფონდს ხელმძღვანელობს დირექტორი.

3. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4. ფონდის დირექტორი: არის ფონდის საერთო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია ფონდის საერთო საქმიანობაზე; ამტკიცებს ფონდის სტრუქტურას; სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ფონდის საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთებს და ფონდის თანამშრომელთა წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის თანამშრომლებს, მოწვეულ სპეციალისტებთან დებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; უზრუნველყოფს ფონდის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას; წყვეტს ფონდის სტრატეგიულ და მიმდინარე, მათ შორის, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს; უფლებამოსილია, მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება ფონდის დირექტორის მოადგილეზე; იღებს გადაწყვეტილებას ფონდის მიერ პროექტების დაფინანსების ან საინვესტიციო საქმიანობის შესახებ.

5. ფონდის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს ორი მოადგილე.

6. ფონდის დირექტორის მოადგილე: დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას; ასრულებს დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 6. ფონდის ქონება

ფონდს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სახელმწიფოს მიერ გადაეცემა სახელმწიფო ქონება სარგებლობის უფლებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 7. ფონდის დაფინანსების

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# მარკო როისს ობამასთან შეხვედრა სურს

გთავაზობთ დორტმუნდის „ბორუსიას“ ერთ-ერთი ლიდერის მარკო როისის ინტერვიუს, რომელიც მას „ბილდმა“ ჩამოართვა.

***— მარიო გიოტცე ყველასათვის მოულოდნელად გადავიდა „ბაიერნში“. ახლა „დორტმუნდმა“ თქვენს წასვლაზეც ხომ არ უნდა ინერვიულოს?***

— არა! მე თავს „დორტმუნდში“ საკმაოდ ბედნიერად ვგრძნობ.

***— რას ფიქრობთ გიოტცეს შემცვლელებზე?***

— გიოტცეს პირდაპირ ვერავინ შეცვლის, თუმცა მხითარიანის, ობამეიანისა და სოკრატისის სახით, სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი მივიღეთ და ახლა უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე შარშან.

***— რას აკეთებს „ბორუსია“ უფრო ძლიერს, ვიდრე შარშან?***

— გასულ სეზონში ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ მცველთა შეუთანხმებლობის გამო, ხშირად გაგვდიოდა გოლი და ახლა ამის გამოსწორებაზე მიდის მუშაობა.

***— დაახასიათეთ მხითარიანი, ობამეიანი და სოკრატისი.***

— მხითარიანი ტრავმირებულია, თუმცა ამხანაგურ მატჩებშიც დაამტკიცა, რომ ტყუილად არ გვიყიდია. ობამეიანი კი არა მარტო ქარივით სწრაფია, არამედ საკმაოდ პროდუქტიულიც. ხოლო სოკრატისი არის გამოცდილი ფეხბურთელი, რომელიც ჩვენს დაცვას უფრო სტაბილურს გახდის.

***— ვინ უფრო სწრაფია: თქვენ თუ ობამეიანი?***

— რა თქმა უნდა, ის! მე ასეთი სწრაფი ფეხბურთელი ჯერ არ შემხვედრია.

***— ბოლო თვეებში ბევრი საუბარი იყო რობერტ ლევანდოვსკის ტრანსფერის შესახებ. მოედანზე თუ ეტყობა ეს ყველაფერი?***

— მე მსგავს ვერაფერს ვამჩნევ. რობერტი ისევ „დორტმუნდის“ ფეხბურთელია და მისთვის ყოველთვის ბოლომდე დაიხარჯება.

***— ტიტულისთვის ბრძოლა ახლა უფრო მაგარი იქნება, ვიდრე შარშან?***

— იმისათვის, რომ „ბაიერნთან“ აღარ იყოს 25-ქულიანი განსხვავება, ამისათვის მთელ ჩვენს ძალისხმევას ჩავდებთ.

***— გასულ სეზონში როგორც კლუბში, ისე ნაკრებში წარმატებულად ასპარეზობდით. ამ სეზონშიც შეძლებთ ორივეგან თანაბარ დონეზე თამაშს?***

— გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე ბუნდესლიგაში უაზროდ ვკარგავდით ხოლმე ქულებს, რადგან სამშაბათის ან ოთხშაბათის შეხვედრაზე ვფიქრობდით ხოლმე. ახლა კი ორივე ფრონტზე მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ და მერე საერთოდ ურთულესი საქმე იქნება ჩვენი ძლევა.

***— „ბაიერნთან“ მოგებულ სუპერთასზე რას გვეტყვით?***

— რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო! ამ თამაშმა ჩვენი დამაჯერებლობა შეგვმატა და ძალებში კიდევ უფრო ვირწმუნეთ.

***— „ბაიერნს“ საფრთხეს მხოლოდ „ბორუსია“ შეუქმნის?***

— როგორც იცით, ბოლო რამდენიმე წელია, მიუნხენელთა მთავარ კონკურენტებად ვითვლებით, თუმცა „შალკე“, „ლევერკუზენი“ და „გლადბახიც“ აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას — ასევე არ შეიძლება „შტუტგარტისა“ და „ვოლფსბურგის“ ჩამოწერაც.

***— სეზონის ბოლოს „ბორუსია“ „შალკეზე“ მაღლა იქნება, როგორც უმეტესად ხდება?***

— რა თქმა უნდა — ეს ხომ ჩვენი სეზონის მიზანთაგან ერთ-ერთია.

***— იურგენ კლოპს ძალიან უნდა, რომ სეზონის ბოლოს რაიმე ტიტული ეჭიროს ხელში. თქვენც, არა?***

— რაზეა ლაპარაკი! ჩვენ სუპერთასი უკვე მოვიპოვეთ, თუმცა თევზის დაჭერა მხოლოდ ამ წყალში არ გამოგვივა — ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც მაგრად გვსურს და ამისათვის ყველაფერს ვიზამთ.

***— შარშანდელ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალამდეც კი მიაღწიეთ. რას ფიქრობთ, მსგავსი სენსაცია წელსაც განმეორდება?***

— არანაირად არ ვთვლი, რომ ეს სენსაცია იყო. უბრალოდ, ჩვენ ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, მეტოქეები კი მხარს ვერ გვიბამდნენ და საბოლოოდ, ფინალამდეც მივედით. ჩვენ გამოცდილი და კარგად დაკომპლექტებული გუნდი ვართ და რატომაც არა, რომ ზედიზედ მეორედ გავიდეთ ფინალში?

***— რას ფიქრობთ, ვინ იქნება ამ სეზონში სენსაცია-გუნდი?***

— „ვოლფსბურგი“ ბოლო რამდენიმე წელია, ვერ ახერხებს იმის ჩვენებას, რაც შეუძლია — ასევე „ჰანოვერისა“ და „შტუტგარტის“ დასახელებაც შეიძლება.

***— ამ რამდენიმე დღის წინ ბასტიან შვაინშტაიგერი გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. თქვენი ფავორიტი ვინ იყო?***

— ჩემი აზრით, ამ პრიზს ფრენკ რიბერიც იმსახურებდა, რომელმაც ტრიპლეტი შეასრულა, თუმცა რა თქმა უნდა, შვაინშტაიგერმაც დაიმსახურა ამ ბრწყინვალე სეზონის შემდეგ.

***— „შალკეს“ მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა თქვა, რომ იურგენ კლოპი მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელიაო. მართალი თქვა?***

— უდავოდ! ბოლო წლებს რომ გადახედოთ, მის უდიდეს სამუშაოს დაინახავთ და მიხვდებით, რომ მართლაც საუკეთესოებში იმსახურებს ადგილს — მის ხელში ფეხბურთელი ყოველდღე ვითარდება.

***— თქვენ ხშირად იძლევით ავტოგრაფებს. აი, თქვენ თავად ვისგან ისურვებდით სამახსოვრო ხელმოწერას?***

— ბარაკ ობამასგან და მისი ავტოგრაფის გარდა, მასთან გასაუბრებაც ძალიან მინდა, რაც ძალზე საინტერესო იქნება.

# 5 ტოპ-ფეხბურთელი, რომელიც სკამისთვის გაიმეტეს

გერმანიაში საფეხბურთო სეზონი გასულ უიქ-ენდზე დაიწყო და იქაურ მედიაში უკვე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე სკანდალია მოსალოდნელი. კერძოდ, ეს სკანდალი მოსალოდნელია იმ ტოპ-ფეხბურთელებისგან, რომელთაც თავიანთ გუნდებში სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოუწევთ.

პირველ ადგილზე მარიო მანჯუკიჩია დაყენებული, რომელმაც წინა სეზონში 15 ბურთი გაიტანა და „ბაიერნის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თუმცა, წელს ყველაფერი შეიცვალა — ბავარიულ კლუბში მივიდა ხოსეპ გვარდიოლა, რომელსაც ჰაინკესისგან განსხვავებით სხვა საფეხბურთო შეხედულება აქვს. გარდა ამისა, გამოჯანმრთელდა ახალწვეული მარიო გიოტცეც და იქაური ექსპერტები სასტარტოში მას უფრო ხედავენ, ვიდრე ხორვატ ფეხბურთელს. მეტიც, მანჯუკიჩის კლუბთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტს 70 პროცენტით აფასებენ.

ექსპერტების აზრით, სანახევროდ არის მოსალოდნელი კონფლიქტი ფელიპე სანტანასა და „შალკეს“ ხელმძღვანელობას შორის. 27 წლის ფეხბურთელი წელს გადმოიყვანეს „დორტმუნდიდან“ და ძირითად შემადგენლობისთვის ამზადებდნენ, მაგრამ პირველივე ტურში სათადარიგოთა სკამი „ხეხა“ და არც სახეზე ეტყობოდა კმაყოფილება.

სათადარიგოთა სკამზე მოხვდა „ჰერტას“ საუკეთესო ბომბარდირი რონი, რომელმაც გასულ სეზონში 18 ბურთი გაიტანა და 15 საგოლე პასი გააკეთა. 27 წლის შემტევი მოედანზე მაშინ შეუშვეს, როდესაც ბერლინელებს საქმე მოთავებული ჰქონდათ, თუმცა ბრაზილიელმა იმ 16 წუთშიც მოახერხა გატანა. ბრაზილიელსა „ჰერტას“ კონფლიქტს 40 პროცენტს უწინასწარმეტყველებენ.

„ლევერკუზენის“ მწვრთნელმა სამი ჰიიპიამ „ფრაიბურგთან“ (3:1) მატჩის წინ სიმონ როლფესს უთხრა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა. არადა, შარშანდელ სეზონში გუნდის კაპიტანმა 30 მატჩი ჩაატარა, მაგრამ წელს მის პოზიციაზე ძალიან დიდი კონკურენცია გაჩნდა. ლარს ბენდერი, გონსალო კასტრო, შტეფან რაინარტცი, ემრე ჩანი, იენს ჰეგელერი და ლევინ იოზთუნალი — ყველა ამ ფეხბურთელს შეუძლია როლფესის ნაცვლად თამაში.

სკანდალის პროცენტობა — 30.

ყველაზე ნაკლებ სკანდალს იაკუბ ბლაშჩიკოვსკისგან ელიან, თუმცა მის სათადარიგოთა სკამზე გადასმას ყველაზე მეტად ვარაუდობენ. ასე მოხდა პირველ ტურში, ხოლო „კუბას“ ნაცვლად მოთამაშე პიერ-ემერიკ ობამეაინგმა 3 ბურთის გატანა მოახერხა. ასეთი შედეგიანობის შემდეგ, ცხადია, პოლონელ ფეხბურთელს გაუჭირდება მასთან კონკურენცია, მაგრამ იურგენ კლოპის ეიმედება — მას ხომ უყვარს როტაცია.

# ოთხი მედალი მაიამიდან

მაიამიში დასრულებულ მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ძიუდოში, საქართველოს ვაჟ და გოგონათა ნაკრებმა გუნდებმა დამაჯერებლად იასპარეზეს. მათ ანგარიშზე ოთხი მედალია, რაც ალბათ ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

წლევანდელი კონტინენტის პირველობის გამარჯვებულსა და უტრეხტის ახალგაზრდული ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორს მარიამ ჯანაშვილს (52კგ), მსოფლიოს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. იმავე სინჯის მედლები მოიპოვეს რობინზონ ბეგლარიშვილმა (50კგ) და თამაზ კირაკოზაშვილმა (73კგ), ხოლო კობა მჭედლიშვილი (66კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მაიამიში, პარალელურად 2014 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც თამაშდებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, ავტომატურად, ნაინჯინგში (ჩინეთი) გასამართი თამაშების საგზურის მფლობელიც ხდებოდა. ქართველმა ძიუდოისტებმა საერთო ჯამში ოთხი ლიცენზია კი მოიპოვეს, მაგრამ დადგენილი კვოტის თანახმად ქვეყანას თითო-თითო ქალ-ვაჟის გამოყვანის უფლება აქვს. ასე რომ მარიამ ჯანაშვილი ნაინჯინგში 100% იასპარეზებს, რაც შეეხებათ ვაჟებს, აქ ირაკლი ცირეკიძეს კობა მჭედლიშვილს, რობინზონ ბეგლარიშვილსა და თამაზ კირაკოზაშვილს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

# ჯეიკობ პულენი ბარსელონაში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, ქართული პასპორტის მქონე ჯეიკობ პულენი კატალონიურ გრანდ „ბარსელონაში“ ჩაირიცხა. პულენმა, რომელმაც გასული სეზონი იერუსალიმის „ჰაპოელსა“ და ბოლონიურ „ოკნოპლასტში“ გაატარა, ესპანურ გრანდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იტალიურ გუნდში პულენი საშუალოდ 22.4 ქულას, 1.8 მოხსნას, 1.9 პასს და 1.6 ჩაჭრას აგროვებდა. გასული სეზონის პირველი ნახევარი კი ჯეიკობმა იერუსალიმის „ჰაპოელში“ მაისურით გაატარა და ისრაელის ჩემპიონატში მისი საშუალო მონაგარი 12.6 ქულა, 1.5 მოხსნა, 4.0 პასი და 1.1 ჩაჭრა გახლდათ.

ჯეიკობ პულენმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლაში. ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელი შესარჩევი ტურნირის მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და საშუალოდ 16.4 ქულას, 2.0 მოხსნას და 2.9 პასს აგროვებდა.

ასეა — კატალონიური და მთლიანად ევროპული კალათბურთის გრანდი ჩვენი ნაკრების კალათბურთელს იწვევს, ჩვენ კი, მის დახმარებაზე უარს ვამბობთ.

# საქართველომ ბოსნიასთან ბოლო წუთზე წააგო




**საქართველო – ბოსნია 63:68**

(15:19: 15:19, 19:10, 14:20)

**საქართველო:** ცინცაძე (17), ჰიკმანი (10), მარკოიშვილი (9), სანიკიძე (8), შერმადინი (7), ცქიტიშვილი (5), ფაცაცია (5), ბურჯანაძე (2), ბოისა, ლეჟავა, ფხაკაძე, მეტრეველი

**ბოსნია:** ტელეტოვიჩი (15), სტეფანოვი (10), რაიტი (9), ჯედოვიჩი (9), პაშალიჩი (3), შუტალო (7), ბავჩიჩი (6), გორდიჩი (4), კიკანოვიჩი (5), პერშიჩი, ჰალილოვიჩი

საქართველოს ნაკრებმა სლოვენიაში იმ არენაზე ითამაშა, სადაც 4 სექტემბრიდან ევროპის ჩემპიონატის მატჩებს გამართავს. ქალაქ ცელიეს „ტრიგლავ არენაზე“ საქართველოს ნაკრებმა ბოსნია-ჰერცეგოვინას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 63:68 წააგო.

საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა ამერიკელ რიკი ჰიკმანს, რომელმაც ოციოდ წუთში 10 ქულა დააგროვა. მატჩი მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა და ორივე გუნდმა ის კომბინაციების დასამუშავებლად გამოიყენა. საქართველოს ნაკრებისთვის ამ შეხვედრას ის დამატებითი დატვირთვა ჰქონდა, რომ არენას გაეჩვია — ფიცარნაგი მოთელა და ფარების სიმკვრივე მოსინჯა.

პირველი და მეორე მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით — 15:19 წააგო, თუმცა ეს 8-ქულიანი ჩამორჩენა მესამე მეოთხედში ერთიანად ამოიღო. პერიოდის 19:10 მოგების შემდეგ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 49:48 დაწინაურდა.

1-ქულიანი იყო სხვაობა მატჩის ბოლო წუთზეც, თუმცა ბოსნიელთა სასარგებლოდ. ქართველებმა გადამწყვეტ მომენტში ვერ იყოჩაღეს და საბოლოოდ ბოსნიელთა სნაიპერის, მირზა ტელეტოვიჩის შორეულმა სამქულიანმა ქართველები წასაგებად გაწირა — 68:63.

**დავით უსტიაშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

— მატჩის ბოლო წუთები დაძაბული გამოდგა. მართალია, შეხვედრა მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა და ორივე გუნდმა ის სწორედ ამ კუთხით გამოვიყენეთ, ბოლო მომენტში რაკი ანგარიში თანაბარი იყო, გამარჯვება ორივეს გვსურდა. მატჩის ბოლო წუთი რომ დაიწყო, ქულით ვაგებდით. ბურთი ბოსნიელების იყო, რომლებმაც შეტევა გააცუდეს და სამწუხაროდ, მათი აცილებული ვერ მოვხსენით. ბურთი ისევ ბოსნიელებს დარჩათ, რომლებმაც იგი პერიმეტრზე აიტანეს. თამაშის დასრულებამდე 40 წამი რჩებოდა, ბოსნიელებს შეტევისთვის მთელი 20 წამი ჰქონდათ, მაგრამ სამქულიანი ნიშნულიდან საკმაოდ შორს მყოფმა მირზა ტელეტოვიჩმა, დაახლოებით 9 მეტრიდან სამქულიანი ესროლა და ჩააგდო. არ ვიცი, რატომ გააკეთა ეს, ყველანაირად გაუმართლებელი სროლა იყო, თუმცა ჩააგდო და ვერავინ გაამტყუნებს. ამ მოულოდნელად ჩაგდებული ბურთის შემდეგ 4 ქულით ჩამოვრჩით, შეტევა გავაცუდეთ და მატჩის ბედიც გადაწყდა.

***— რიკი ჰიკმანის დებიუტზე რას იტყვით?***

— ჰიკმანმა დაახლოებით 20 წუთი ითამაშა და 10 ქულა მოაგროვა. ის გუნდთან კარგად არის შეწყობილი და მომავალში მისგან ბევრს ველით. პირველ მეოთხედში მანუჩარ მარკოიშვილმა ფეხი იტკინა. მეორე ტაიმის საწყისი წუთები ითამაშა და ფეხმა რომ არ გაუარა, მოედნიდან გავიყვანეთ. ამხანაგური მატჩის გულისთვის ვერ გავრისკავდით მარკოიშვილის მოედანზე დატოვებას და დავასვენეთ. დღეს ექიმები კარგად შეამოწმებენ და ამის შემდეგ გადაწყდება, ითამაშებს თუ არა ხვალ ბოსნიასთან მეორე მატჩს.

***— გუნდის დანარჩენ წევრებზე რას იტყვით?***

— გიორგი ცინცაძემ 17 ქულა დააგროვა. ის საკმაოდ შედეგიანი იყო და გამორჩეულად ითამაშა.

***— განაცხადში მხოლოდ 12 მოთამაშე იყო.***

— დუდა სანაძეს და გიორგი შარაბიძეს დღეს არ უთამაშიათ. ისინი ხვალ განაცხადში იქნებიან.

# უეფამ მეტალისტი ლიგიდან მოკვეთა

უეფამ უკრაინული საფეხბურთო კლუბი ხარკოვის „მეტალისტი“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებიდან მოხსნა.

საქმე ის არის, რომ ლოზანის სპორტული არბიტრაჟის სასამართლომ დადგენილებით, ხარკოველებმა ჩაწყობილი მატჩი ითამაშეს. კერძოდ: 2008 წელს მეტალისტი-კარპატის (4:0). სწორედ, ამის გამო, ხარკოველები ერთი სეზონით დასაჯეს. ეს ინფორმაცია უეფას ვებგვერდზე გავრცელდა.

ამ მატჩის შესახებ უეფამ გადაწყვეტილება ადრეც მიიღო, მაგრამ შემდეგ „მეტალისტის“ მხარემ აპელაცია შეიტანა. უეფას სააპელაციო ინსტანციამ „მეტალისტის“ მიერ გაგზავნილი ყველა დოკუმენტი განიხილა, ასევე, უეფას სადისციპლინო კომიტეტის ინსპექტორის მიწოდებულ მასალებსაც გაეცნო. შედეგად, უეფამ გადაწყვიტა, რომ „მეტალისტი“ 2013-2014 წლების სეზონში ევროთასებზე აღარ ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება ხარკოველებმა ლოზანის სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრეს.

ახლა უეფა გადაწყვეტს „მეტალისტის“ დისკვალიფიკაცია ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდზე როგორ იმოქმედებს. შეგახსენებთ, რომ მე-3 რაუნდში ხარკოველებმა გათამაშებს ბერძნული პაოკი გამოთიშეს და პლეი ოფში გერმანულ „შალკეს“ უნდა შეხვედროდნენ.

პაოკმა უეფას ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა, თუმცა არ არის გამორიცხული „შალკესთან“ ბერძნული კლუბი ათამაშონ, მაგრამ ვინ ითამაშებს მის ნაცვლად ევროპის ლიგაზე, სწორედ ეს არის უეფას საფიქრალი. შესაძლოა, „შალკეს“ უბრძოლველად დაუთმონ გზა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი(21)**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-თურქეთი | 3:1 |
| ლიხტენშტეინი-ხორვატია | 0:5 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| ბოსნია-ჩერნოგორია | 1:1 |
| უკრაინა-საბერძნეთი | 4:0 |
| რუმინეთი-კვიპროსი | 0:2 |
| ბელგია-ისრაელი | 1:1 |
| ინგლისი-შოტლანდია | 6:0 |
| გერმანია-საფრანგეთი | 0:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქართულ კულტურფილმებს რესტავრაცია გერმანიაში ჩაუტარდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცულ 20-30-იან წლებში გადაღებულ ოთხ დოკუმენტურ ფილმს ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, ეროვნულმა არქივმა პროექტის დაფინანსება საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის გრანტით მოიპოვა. პროექტს ნაწილობრივ აფინანსებს ლაბორა-



გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში კინოლაბორატორიაში ციფრული რესტავრაცია ჩაუტარდება, რის შემდეგაც 2013 წლის ოქტომბერში იტალიის ქალაქ პორდენონეს უხმო ფილმების ფესტივალზე იქნება ნაჩვენები.

– კულტურფილმის ჟანრის დოკუმენტური ფილმების „მიწის ძახილი" (რეჟისორი სიკო დოლიძე), „რასაც დასთეს, იმას მოიმკი" (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე), „დილის ათი წუთი" (რეჟისორი ალექსანდრე ჯალიაშვილი) და „კოლმეურნის ჰიგიენა" (რეჟისორი ვახტანგ შველიძე) რესტავრაცია განხორციელდება პროექტის „ქართული კულტურფილმების რესტავრაცია და პოპულარიზაცია" ფარგლებში, – განაცხადა ტორია „სინეპოსტი", სადაც რესტავრაცია უნდა ჩატარდეს.

– რესტავრაციისას ფილმები ლაბორატორიულად გაიწმინდება, დამუშავდება და განივრცობა ფილმების შიდა ტიტრები, მაღალი რეზოლუციით დასკანერდება და ციფრულ მატარებელზე ჩაიწერება. რესტავრაციის პროცესში ჩართული იქნება კინოფოტოფონოდოკუმენტებს ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე კინომცოდნე ნინო ძანძავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული კულტურფილმები 2012 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო ნაჩვენები, რამაც მაყურებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, – ამბობს თეა ქიმერიძე.

# ქართველი ჯარისკაცების წერილები გამოფენილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყო. გამოფენის მოწყობის გზით საზოგადოებისთვის შესაძლებელი ხდება ინფორმაცია მიიღოს ქართველი ჯარისკაცების შესახებ ავღანეთში.

– რამდენი წერილი გამოფინეთ?

– გამოფენაზე თავი მოიყარა 11-მა წერილმა, რომელიც ჯარისკაცებმა ფეისბუქში მისწერეს თავიანთ მეგობრებსა და ნათესავებს. ეს წერილები თავად ჯარისკაცებმა მომაწოდეს ჰელმანდის პროვინციაში გადაღებულ 46 ფოტოსთან ერთად. რამდენადაც ზუსტად ვიცოდი, თუ რას აკეთებენ ჩვენი ჯარისკაცები ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, გადავწყვიტე პასუხი გამეცა რაიმე ღონისძიებით ამ სტატიისთვის. საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ოჯახის, საკუთარი სოცოცხლის დაცვაც მოიაზრება.

გამოფენაზე ითქვა, რომ ექსპოზიციის მოწყობის მიზეზი ასევე გახდა ჯარისკაცის წერილი ავღანეთიდან, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა:

„ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ!!! ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიწოდებთ ყველას ფულზე გაყიდულებს! მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა – ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით... მე მწამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები.. ეს თქვენ, უბრალო ადამიანები აღიქვამთ ასე სხვანაირად, ემოციურად ამ ყველაფერს, რადგან ქართველები ცოტანი ვართ, თორემ იქ ყოველდღე ერთი ამერიკელი მაინც იღუპება. უბრალოდ ამაზე იქ, საქართველოში, არავინ ლაპარაკობს. აქ, ჩვენთან ახლოს, არის ქალაქი სანგინა, სადაც დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება ხდება და უმსხვერპლოდ არ მთავრდება... არ ვიცი, ვიდეოჩანაწერის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებ და ვერც იმას ვიტყვი, რომ სიმართლეა, მაგრამ როგორც ავღანელებისგან ვიცი, ამას სასულიერო პირი აცხადებს, ანუ ის მოუწოდებს ყველა მუსლიმს... გარდა ამისა, მათ სხვანაირი პრინციპები აქვთ და პიროვნება, რომელიც ჯიჰადს აცხადებს, არ დაიმალებოდა... დიახ, ყველა მსგავს ტრაგედიაზე დანაშაულის გრძნობა მაქვს ჩემი მეგობრების მიმართ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მათ დაწყებულ საქმეს გავაგრძელებ! ჩვენ ოკუპანტები არ ვართ. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები...!" – აღნიშნულია წერილში.

რიგით მოქალაქეებთან ერთად გამოფენის გახსნას ქართველი სამხედროებიც ესწრებოდნენ. მათი ნაწილი უკვე იმყოფებოდა ავღანეთში და აისაფის მისიაში პირადად იყო ჩართული.

შეიარაღებული ძალების სერჟანტის ალუდა კოპალიანის თქმით:

–ძალიან მნიშვნელოვანია იმ დღეების, იმ ცხოვრების წესის საზოგადოებისთვის გაცნობა, რასაც ჩვენი ჯარისკაცები ეწევიან ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მისი ჯარისკაცი, როგორ ცხოვრობს, როგორი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს ყველაფერი კარგად ჩანს იმ ფოტოებში, რაც აქ გამოფენილია. ასეთი გამოფენა დიდი მოტივაციაა ჯარისკაცისთვის, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

როგორც გამოფენაზე ითქვა, ფოტოგამოფენის დათვალიერება მსურველებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თვის ბოლომდე შეეძლებათ, შემდეგ კი ეს ექსპოზიცია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩავა და საგამოფენო სივრცეებში იქნება წარმოდგენილი.

# რისთვის შეიქმნა კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის ფონდი?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წყაროები

1. ფონდის დაფინანსების წყაროებია: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები; უცხოური და ადგილობრივი წყაროებიდან მოზიდული სახსრები; ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების შემოწირულობანი; კერძო შემოწირულობანი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ფონდის სახსრებისა და შემოსავლების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

მუხლი 8. ფონდის სახელმწიფო კონტროლი

1. ფონდის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ფონდის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ფონდის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 9. ფონდის ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება

1. ფონდი აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს დადგენილი წესისა და ნორმების შესაბამისად.

2. ფონდის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 10. ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით".

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კულტურის სფეროს ალტერნატიული დაფინანსების მოძიების მიზნით ქველმოქმედების შესახებ კანონის შემუშავებაზეც მუშაობს. როგორც გურამ ოდიშარიას მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი განმარტავს:

– ქველმოქმედების შესახებ კანონი ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიების პროცესში.

დღეისათვის არსებობს კულტურის სფეროს დაფინანსების სამი ძირითადი გზა – სახელმწიფოს, კორპორაციებისა და თვითდაფინანსება. ალექსანდრე მარგიშვილის აზრით:

– სამივე კუთხით შეჭირვებული მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ბიუჯეტი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ისეთი მასშტაბით დაფინანსდეს კულტურა, როგორც ჩვენ გვსურს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურის სამინისტროსთვის 80 მილიონი ლარია გამოყოფილი. ამ თანხიდან მხოლოდ 20 მილიონ ლარს ანაწილებს სამინისტრო მისი პრიორიტეტების მიხედვით. კულტურის სამინისტროს ბიუჯეტის დიდი ნაწილი – 56 მილიონი ლარი, სამინისტროს ასიგნებებია. ეს თანხა იმთავითვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვისაა, ძირითადად სსიპ-ები, განკუთვნილი და ისინი სამინისტროსგან დამოუკიდებლად განკარგავენ ამ თანხას.

ალექსანდრე მარგიშვილის თქმით:

– 2013 წელს ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტი იყო 80 მილიონი, რომელიც დაახლოებით 1.700.000 ლარით გაიზარდა ამ ექვსი თვის განმავლობაში მთავრობის ტრანსფერების ხარჯზე.

– როგორ ნაწილდება 80 მილიონი?

– დაახლოებით 56 მილიონი ნაწილდება იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე და ჩვენს სისტემაში დაქვემდებარებულ ორგანიზაციებზე, რომლებზეც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას იყვნენ დაფინანსებულები. ეს 56 მილიონი ლარი არის ამ ორგანიზაციების ასიგნებები, ჩვენ პრაქტიკულად ამ თანხას არ განვკარგავთ. 24 მილიონიდან მცირე ნაწილი დაახლოებით 3.500.000 მოდის ადმინისტრირებაზე და გვრჩება დაახლოებით 20 მილიონი პროგრამული დაფინანსებისთვის. ეს თანხა არის ის, რაზეც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, ვის დაუჭიროს მხარი, რომელ პროექტს, ეს იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

რაც შეეხება კორპორაციულ დაფინანსებას:

– ამ დროს გარკვეული „შეფერხებებია". ამ სირთულეს უპირველესად საკანონმდებლო ბაზა განაპირობებს, რომელიც კორპორაციების მიერ ქველმოქმედებისთვის გაღებულ თანხას ხარჯად მიიჩნევს და ჩვეულებრივ იბეგრება.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქველმოქმედება არამომგებიანი საქმიანობაა. ამავე კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა.

ქველმოქმედი ორგანიზაციისთვის არსებობს სტატუსი და მას ის ორგანიზაცია იღებს, რომლის შემოსავალი ქველმოქმედებისთვის იხარჯება. არსებული კანონმდებლობით, სამეწარმეო ორგანიზაციები ქველმოქმედი ორგანიზაციის სტატუსს ვერ მიიღებენ. ქველმოქმედების განსახორციელებლად კორპორაციები საქველმოქმედო ორგანიზაციებს აარსებენ. მათ მიერ გაღებული თანხის დაქვითვის წესს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლი აწესებს, რომელშიც წერია:

„ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა".

პოლიტიკა, რომელსაც კულტურის სამინისტრო იმუშავებს, კორპორაციებს კულტურის სფეროს პირდაპირ, საქველმოქმედო ასოციაციების გარეშე, დაფინანსების შესაძლებლობას მისცემს:

– კომპანიებს შეეძლებათ თავად გახდნენ ქველმოქმედი ორგანიზაციები და სპეციალური საქველმოქმედო ასოციაციების გარეშე დააფინანსონ კულტურის სფერო. ეს იქნება პირდაპირი ტიპის მხარდაჭერა და არ დასჭირდება მესამე პირთან ურთიერთობა ქველმოქმედს. სამინისტროს სურს უფრო მეტი შეღავათი დაუწესოს ქველმოქმედ ორგანიზაციებს. კორპორაციებს თავად შეეძლებათ აირჩიონ სფერო, რომელსაც დააფინანსებენ. თუ კორპორაცია თაღლითობაში იქნება შემჩნეული, შესაძლოა, მას არ მისცენ ქველმოქმედი ორგანიზაციის სტატუსი. ფინანსთა სამინისტროს აქვს პრინციპული პოზიცია ორ საკითხში – არ მოხდეს არაკანონიერი გზით მიღებული თანხების გათეთრება და სახელმწიფო ბიუჯეტი არ შემცირდეს, – მიაჩნია კულტურის მინისტრის მოადგილეს. ქველმოქმედების კანონის საკითხებზე კულტურის სამინისტროში მრგვალი მაგიდა რამდენჯერმე უკვე გაიმართა. დისკუსიაში იუსტიციის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, კულტურის სფეროს მუშაკები და სპეციალისტები ჩაერთნენ. სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდა ქალთა ფონდი „ტასო", რომელმაც მოამზადა „ქველმოქმედების, ფილანტროპიისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ" კანონპროექტი. ეს კანონპროექტი პარლამენტში უკვე შესულია. ამ ფონდის მიერ შემუშავებულ კანონპროექტში დაწესებულია შეღავათები არა მარტო კულტურისა და ხელოვნების, არამედ განათლების, მეცნიერების სფეროების დაფინანსებისთვის, თუმცა კულტურის სამინისტროს ინიციატივა მხოლოდ კულტურის სფეროს დაფინანსებას ეხება.

საქველმოქმედო ფონდი აქვს „თიბისი ბანკს". ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მაია ძირკველიშვილი განმარტავს, რომ:

– კულტურულ პროექტებს უშუალოდ ბანკი ახორციელებს, ხოლო საქველმოქმედო ფონდი – სხვადასხვა ორგანიზაციებს ან ადამიანებს ეხმარება. კულტურის დაფინანსება (მეცენატობა) ხდება უშუალოდ ბანკის მხრიდან პირდაპირ, საქველმოქმედო ფონდი აქ არ ფიგურირებს. ჯაზფესტივალს დავაფინანსებთ, თუ ლიტერატურულ კონკურსს გავმართავთ, ამ ყველაფერს ბანკი ფარავს. ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღება ბიზნესისთვის სასარგებლო იქნება. თუკი ქველმოქმედებასა და მეცენატობაზე დახარჯული თანხები გაიზრდება, ბიზნესს მეტ სტიმულსა და მეტის გაკეთების საშუალებას მისცემს.

ამჯერად უკვე მნიშვნელოვანია როგორ შეღავათებს დააწესებს სახელმწიფო ქველმოქმედების მსურველი ორგანიზაციებისთვის და პიროვნებებისთვის. ამ კითხვაზე პასუხს საზოგადოება სექტემბერში მიიღებს. უშუალოდ კანონმდებლობის ამოქმედება კი 2014 წლის შუა თვეებშია დაგეგმილი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. სამხედრო მეთაურთა ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. ირლანდიელი მწერალი „ულისეს" ავტორი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 6. დასამუშავებელი დეტალის დამჭერი საზეინკლო იარაღი; 11. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 5. ბრიტანული არაყი; 7. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა, დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 11. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ღვინის საპატივმცემლო საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 25. შავი ფისი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პატენტი; 2. ბროლი; 3. კონტროლი; 4. ბულბული; 5. კორნიშონი; 9. პითონი; 12. ხაშლამა; 14. ნუნცია; 15. გომი; 17. ფშანი; 18. ალტი.

**თარაზულად**: 6. „ლამარა"; 7. „კონსუელო"; 8. ვექილი; 10. სუეცი; 11. ციცინათელა; 13. „ანტიგონე"; 16. ტარაფი; 19. ლოკატორი; 20. მაგელანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. მხევალი; 3. ნუვორიში; 4. აკვალანგი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. რაუნდი; 11. კარიერი; 14. იმპიჩმენტი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. „პანედა"; 19. ლივადია; 21. პანდა; 22. ლახტი.

**თარაზულად**: 1. ამუნიცია; 5. წავი; 7. ბერდია; 9; ფეტვიაშვილი; 10. რეკრუტი; 12. ესტრადა; 13. ბენზინი; 16. კარავაჯო; 17. პაბი; 18. ალუჩა; 20. ანჩელოტი; 22. ლიანა; 23. კათედრა; 24. ცაცხვი; 25. დელტა.

# პალესტინასა და ისრაელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებები მომავალ კვირას იერუსალიმში გაიმართება

იერუსალიმში ისრაელსა და პალეტინას შორის მოლაპარაკებები გაიმართება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ეს იქნება პირველი მოლაპარაკებები, რომლებიც ისრაელსა და პალესტინის წარმომადგენლებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიმართება. ინფორმაციას ამის შესახებ

ამ ფონზე, ისრაელი წინააღმდეგობით მოცული მშენებლობების პროგრამას და ებრაელთა დასახლების პროცესს აგრძელებს. პალესტინელთა განცხადებით, მშენებლობების განახლება ძირს უთხრის მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს. ისრაელის მთავრობის სპიკერი კი აღნიშნავს, რომ საუბარია ტერი-




„ბიბისი“ ავრცელებს.

აშშ-ს განცხადებას მოლაპარაკებების დაწყვეტის შესახებ წინ უძღვოდა ისრაელის გადაწყვეტილება გაენთავისულებინა ციხეებიდან 100-ზე მეტი პალესტინელი პატიმარი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის თქმით, პროვე მხარე აპირებს საბოლოო სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას.

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში კერიმ ახლო აღმოსავლეთში პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების გადახლებისათვის ექვსი ოფიციალური ვიზიტი განახორციელა.

„ისრაელსა და პალეტინას შორის მოლაპარაკებები იერუსალიმში გაიმართება. ამის შემდეგ შეხვედრა იერიქონში შედგება“, – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ.

ტორიაზე, რომელიც სავარაუდოდ, ნებისმიერი ტიპის შეთანხმებაში ისრაელის მხარეს დარჩება.

ისრაელმა ამ კვირაში 2 000 ახალი სახლის მშენებლობა დაამტკიცა, მათ შორის 900 იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში, გილოს უბანში მდებარეობს. აღნიშნული საკითხი ორ მხარეს შორის სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების მთავარ ბარიერად ითვლება.

პალესტინელები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს და აღმოსავლეთ იერუსალიმის იმ ნაწილს, სადაც ისრაელი მშენებლობას აწარმოებს, საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევენ და როგორც წესი, ებრაელთა დასახლების პროცესის შეჩერებას მოლაპარაკების დაწყების მთავარ წინაპირობად აყენებენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ქაიროში შეტაკებებს 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა



ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში, გადაყენებული პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მომხრეების დაშლისას, დღეს 100 ადამიანზე მეტი დაიღუპა. გარდაცვლილთა შორის არის „მუსლიმთა საძმოს“ ერთ-ერთი მეთაურის მოჰამედ ელ-ბელტაის 17 წლის ქალიშვილიც.

პოლიციამ ალყა შემოარტყა რაბია ალ-ადავიას ერთ-ერთ მოედანს, სადაც ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერებს ბანაკი აქვთ მოწყობილი. სამართალდამცავებმა მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, თუმცა ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის სროლის ხმაც ისმოდა.

„როიტერის“ ინფორმაციით, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებისას ეგვიპტის უსაფრთხოების სამსახურის ორი თანამშრომელი დაიღუპა.

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, „ძმები მუსულმანების“ მოძრაობაში დაშავებულთა რაოდენობამ 2 ათას ადამიანს გადააჭარბა. სამართალდამცავებმა მურსის მომხრეების ორი ბანაკის დაშლა დღეს დილით დაიწყეს. ოპერაციისთვის გამოყოფილია სამხედრო ტექნიკა და თვითფრინავები, რომელიც მდგომარეობას ჰაერიდან აკონტროლებენ.

მანამდე კი, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ მხოლოდ „აუცილებელ ღონისძიებებს“ გაატარებდა.

ბრიტანული ტელეკომპანია „სქაი ნიუსის“ ოპერატორი, მიკ დინი ეგვიპტეში მომხდარი შეტაკებების შედეგად დაიღუპა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. 61 წლის მიკ დინი ქაიროში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად კორესპონდენტ სემ კილისთან ერთად იყო ჩასული. ბრიტანელი ოპერატორი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

მუჰამედ მურსის მომხრეების ბანაკები ქაიროში 2013 წლის ივნისიდან გაჩნდა, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გადააყენეს და დააპატიმრეს.

შეგახსენებთ, რომ მურსი ეჭვმიტანილია შპიონაჟში, შეთქმულებაში და სხვა დანაშაულებებში. გასული თვენახევრის განმავლობაში პრეზიდენტის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარ შეტაკებებს 250 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

ეგვიპტის ხელისუფლება ამბოხებულთა ბანაკებს უსაფრთხო ადგილად არ მიიჩნევს. საერთაშორისო დესპანები არსებული ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს ცდილობენ, კვირას მათ საკუთარი თავი შუამავლის რანგში შეიხმა ალ-აზხარმა შესთავაზა. თუმცა ბანაკში მყოფმა ანტი-სახელისუფლო ძალების წარმომადგენლებმა სუნიტთა მთავარი წარმომადგენლის შეთავაზება არ მიიღეს

მედიის კორდინატორი მუჰამედ სულთანი: აჰმედ ელ თაიბმა , რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ამ სამხედრო გადატრიალების რელიგიური წარმომადგენელია, ახლა აცხადებს რომ შუამავლის ფუნქცია სურს რომ იტვირთოს. ეს მიუღებელია, წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ეს იმ ადამიანის დედისთვის, რომელიც ამ ბრძოლას ტანჯვით შეეწირა.

მუჰამედ სულთანი ამბობს იმასაც, რომ დამხობილი პრეზიდენტის მუჰამედ მორსის პოსტზე დაბრუნების მოთხოვნა არ შეიცვლება.

მუჰამედ სულთანი: ეს ჩვენი მთავარი მოთხოვნაა. მათ აქვთ იარაღი, ჰყავთ სამხედროები, მასმედია, სასამართლო სისტემა, აქვთ ფული. მათ ყველაფერი აქვთ, მაგრამ კომპრომისზე არ მოდიან. ჩვენ არაფერი გაგვაჩნია, ქუჩაში ცარიელი ხელებით ვიბრძვით.

ხელისუფლების განცხადებით, ამ ბანაკებში რადიკალურად განწყობილი ისლამისტები არიან, რომლებიც მთელს მსოფლიოში ისლამისტური იდეების რიტორიკით გამოდიან. თუმცა ამ აზრს ზოგიერთი არ იზიარებს.

# ვლადიმერ პუტინი: „ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური გზით შეიძლება“



იმის მიუხედავად, რომ რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრის დღის წესრიგით, ყარაბაღის თემის განხილვა გათვალისწინებული არ იყო, პრეზიდენტები მას მაინც შეეხნენ.

ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით არის შესაძლებელი.

„მოლაპარაკებების მსვლელობისას აქტუალურ საერთაშორისო საკითხებს შევეხეთ, მათ შორის, რა თქმა უნდა, მთიანი ყარაბაღის პრობლემასაც. რუსეთი აქტიურად შეუწყობს ხელს კონფლიქტის სწრაფ დარეგულირებას, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით არის შესაძლებელი“, – განაცხადა პუტინმა.

მისივე განცხადებით, რუსეთი დაინტერესებულია აღნიშნული პრობლემის მოგვარებით, რათა კასპიის რეგიონი თანამშრომლობის რეგიონად იქცეს.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით შეიძლება.

„ამ საკითხის სწრაფი გადაწყვეტა ამ რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესში შედის. გადაწყვეტილება ისტორიულ სამართლიანობაზე, საერთაშორისო სამართალზე და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებზე დაყრდნობით უნდა იყოს მიღებული. რუსეთი, როგორც ეუთოს თანათავჯდომარე, კონფლიქტის დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს“, – განაცხადა ალიევმა.

რუსეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების გუშინდელი შეხვედრის შედეგად ასევე გადაწყდა, რომ ორი ქვეყანა თანამშრომლობას მთელი რიგი მიმართულებებით გააღრმავებს.

ჟურნალისტებთან საუბრისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ იგეგმება სამხედრო-ტექნიკურ თანმშრომლობის გაფართოვებაც.

აზერბაიჯანი უკვე შევიდა რუსული იარაღის ყველაზე მსხვილი მყიდველების რიცხვში.

აზერბაიჯანელი პრეზიდენტის განცხადებითვე, სამხედრო-ტექნიკურ სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის თანხობრივი მოცულობა 4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბაქოში, ორი ქვეყნის ხელმძღვანელების შეხვედრისას, მეგობრული ვიზიტით, რუსეთის კასპიის ფლოტის ხომალდებიც იმყოფებოდნენ.

მოლაპარაკების დასასრულს, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ბოლოს, საპასუხო მეგობრული ვიზიტით რუსეთში უკვე აზერბაიჯანული ხომალდები ჩავლენ.

თავის მხრივ, „როსნეფტმა“ და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ, ბაქოში, ნავთობის მიწოდების ძირითადი პირობების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, საბუთებს ხელი რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების თანდასწრებით მოეწერა.

შეთანხმება ორივე კომპანიას საშუალებას მისცემს საქმიანობის გეოგრაფიული არეალი გაზარდონ, ახალ ბაზრებთან და რესურსებთან ჰქონდეს წვდომა. შეთანხმება ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის საერთო გამოყენებით, ნავთობის და ნავთობპროდუქტების მიწოდების ოპტიმიზირებას შეუწყობს ხელს.

# ევროზონა რეცესიიდან გამოდის



ევროზონაში 18 თვიანი რეცესია დამთავრდა. როგორც წინასწარი მონაცემებით ცნობილი ხდება, ევროზონის ეკონომიკა ბოლო სამ თვეში 0,3%-ით გაიზარდა. „როიტერის“ ინფომრაციით, ზონის ზრდა გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა. ასევე ცნობილია, რომ პორტუგალიის ეკონომიკა კრიზისის შემდეგ 1,1%-ით გაიზარდა.

ექსპეტების თქმით, ზონის რეცისიიდან გამოსვლა დადებითი მოვლენაა, თუმცა ცალკეულ ქვეყნებს კვლავ სერიოზული სამშაო ექნებეთა ჩასტარებელი რეცესიიდან გამოსასვლელად.

ევროზონა მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ლუიზა სიგუა, შვილები მიხეილი, ირაკლი, ალექსი და ნანა გუგუშვილი-შონია, რძალი ნინო პაპიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ (გიორგი) მიხეილის ძე გუგუშვილი**

პანაშვიდი: 13, 14 აგვისტოს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 15 აგვისტოს, 14 საათზე.

მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის II შესახვევი №6 (სტადიონ „შევარდენთან“).

ვუსამძიმრებთ დიდ დანაკლისს ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს, აფხაზეთის მიწას მონატრებული, ღრმად ერუდირებული, ნიჭიერი მეცნიერ-ფიზიკოსის, ჯემალის, უდროოდ გადანაცვლებას ზეციურ სამყაროში...

ღმერთმა აცხონოს მისი კეთილი სული...

*მიქაიების ოჯახი*

ნუგზარ ცერცვაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გურამ ცერცვაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

დაკრძალვა: შაბათს, 17 აგვისტოს, ქალაქ ბაღდათში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 15 აგვისტო

**08.00** დ/ფ "სიმართლე ატლანტიდაზე" **09.30** საბ. მხ/ფ "**სკუბი დუ**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "ღამის დარაჯთა ლეგენდები" **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00** მხ/ფ "**ჩვენი მამების დროშები**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 3 ნაწ. **14.00** დ/ფ "ეფლი" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები-სიცოცხლის სადარაჯოზე" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" 10 სერ. **00.15** მხ/ფ. "**ოქროს ყვავილის წყევლა**" (ჯ.ჩოუ)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "VALIANT" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი II**" I ნაწ. **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სალბუნი **15.20** დოკ/ფ "მეომრები" **15.45** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.10** კონცერტი - "აღდგომიდან ამაღლებამდე" მარინე იაშვილი **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**დიმიტრი II**" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** ერთსულოვნების სალონი - მეცნიერება და რელიგია **22.25** "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე-აფხაზეთის მოსახლეობა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ღალიის ხატი" **00.35** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05, 14.10, 20.00** **სერიალი "ტკბილი შხამი"** **11.05** დოკ/ფ **12.30** **სერიალი "როგორ შევხვდი დედაშენს"** გამ **13.10, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** ჩემიანი **16.10, 7.00** დოკ/ფ **17.10** დოკ/ფ "არქიტექტურა" **17.30** როგორ - "შევხვდი დედაშენს" **18.00, 1.50** ღია თამაში **23.00, 0.20** მხ/ფ **3.50** მთავარი კითხვა.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,659

ევრო — 2,206

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5685

100 რუსული რუბლი — 5,0439

## ამინდის პროგნოზი 15 აგვისტოსთვის





# მალე! მალე! მალე!

## ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

## „შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


## წყალქვეშა ნავის აფეთქების შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა

18 ინდოელი მეზღვაური დაიღუპა წყალქვეშა ნავის „სინდურაკშაკის“ აფეთქების შედეგად. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება რუსეთში წარმოებულ



გემზე, რომელიც ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ეკუთვნოდა, წუხელ გვიან ღამით მოხდა. აფეთქების შედეგაც „სინდურაკშაკი“ მუმბაის პორტში ჩაიძირა.

ინდოეთის ფლოტის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, რამდენიმე მეზღვაური სიკვდილს წყალში გადახტომით გადაურჩა, თუმცა მათი პოვნის სამაშველო ოპერაცია ამ დრომდე გრძელდება. ადგილობრივი მედიის განცხადებით, წყალქვეშა ნავის ბორტზე საბრძოლო იარაღი იყო. ადგილობრივი სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ამ დროისათვის ხანძარი მთლიანად ლოკალიზებულია, თუმცა ნავი უკვე მთლიანად ჩაიძირა.

თვითმხილველების განცხადებით, აფეთქების შედეგად ასული კვამლის დანახვა მთელი მუმბაიდან იყო შესაძლებელი.

რუსული წარმოების წყალქვეშა ნავი „სინდურაკშაკი“, ერთ-ერთია იმ ათი სუბმარინთაგანია, რომელიც პროექტის „877 პალტუსუს“ ფარგლებში ინდოეთმა 1986-2000 წლებში შეიძინა.

ეს წყალქვეშა ნავი სარაკეტო სისტემა „ქლაბ-ეს“ საკრუიზო სარაკეტო ტიპის „კალიბრის“ რაკეტებითაა აღჭურვილი. მისი ექსპლუატაციიდან 16 წელი გავიდა და ის რუსეთიდან სულ ახლახანს დაბრუნდა, სადაც მასშტაბური შემოწმება და ტექნიკური დათვალიერება გაიარა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. თავაშვებული დროსტარება; 12. ღრმა, ვიწრო ხეობა; 14. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 15. მტკნარი წყლის დიდი თევზი; 17. შვეიცარიის დედაქალაქი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 7. ბროწეულის წვენისაგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. იაპონელი მოდელიორი; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. საგანგებოდ მოპატიჟებულ სტუმართათვის გამართული ნადიმი; 16. უბანი თბილისში; 19. მრგვლად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 20. სომალის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ქართველი ჯარისკაცების წერილები გამოფენილია

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ავღანეთის მისიაში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების წერილები და ფოტოები გამოიფინა. „წერილები ავღანეთიდან“ – ასე ეწოდება გამოფენას, რომლის მიმართაც საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ექსპოზიცია ნატოს სამშვიდობო მისიის ფარგლებში გაიმართა.

გამოფენა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მხარდაჭერით და სამხედრო ჟურნალისტის და აფხაზეთის ომის ვეტერანის ზაირა მიქატაძის ინიციატივით განხორციელდა. ექსპოზიციის გახსნას პარლამენტის წევრები გიორგი გოზალაშვილი და დავით ლორთქიფანიძე ესწრებოდნენ.

– ძალიან მნიშვნელოვანია ის მისია, რასაც ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ასრულებენ. თითოეული ჩვენგანის ვალია მათი მხარდაჭერა. ჩვენი მისიაა მსოფლიოს დავანახოთ თუ რარიგად იბრძვის ტერიტორიულად პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის და ტრადიციების მქონე ქვეყანა მსოფლიოს სხვა ცივილიზაციისა და დემოკრატიის მოწყობაში. ამაში თქვენ დიდი როლი მიგიძღვით ჩვენო ვაჟკაცებო, – ასე მიმართა გამოფენაზე მიწვეულ ჯარისკაცებს დავით ლორთქიფანიძემ.

გიორგი გოზალიშვილის თქმით:

– აქ წარმოდგენილი ნამუშევრები ჩვენი ჯარისკაცების გმირობას ასახავს. ასეთი ღონისძიებები ტრადიციად უნდა იქცეს. თითოეულმა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე.

გამოფენის ავტორი სამხედრო ფოტოგრაფი ზაირა მიქატაძეა, რომელიც აფხაზეთის ომის ვეტერანია:

– ამ გამოფენის მოწყობა „ნიუ იორკ თაიმსის“ აისაფის მისიაში მონაწილე ჯარისკაცებისთვის რეპუტაციის შემლახველი სტატიის გამოქვეყნება


**გაგრძელება მე-10 გვერდზე**


## ზურა ყიფშიძე 60 წლის გახდა


ეკა ირემაშვილი


ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი ზურა ყიფშიძე 60 წლის გახდა. იუბილე მსახიობს რაჭაში აღუნიშნეს. ამბროლაურის კულტურის სახლში შეიკრიბნენ მსახიობის მეგობრები, კოლეგები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები და რა თქმა უნდა, რაჭველები.

საიუბილეო საღამოზე ზურა ყიფშიძემ შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მისთვის თითოეული ადამიანის სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა. საიუბილეო საღამო ორგანიზატორი გურამ გორდეზიანი იყო, რომელმაც აღნიშნა, რომ რაჭველებმა, როგორც ყველაზე სწრაფებმა მსოფლიოში, დაასწრეს ყველას და ზურა ყიფშიძის იუბილე იზეიმეს.

იუბილარ მსახიობს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. სპეციალურად მისთვის იმღერა ნიკოლშოუმ, იგივე გია ნიკოლაძემ. როგორც მომღერალმა განაცხადა, ზურა ყიფშიძე თითოეული ქართველისთვის გამორჩეულად საყვარელი მსახიობია, ამიტომ მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ზურა ყიფშიძე ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავია. იგი კინომსახიობთა თეატრის მსახიობია, თუმცა მარჯანიშვილის თეატრშიც მუშაობს. მისი დედა ლენა ყიფშიძე ასევე ცნობილი მსახიობი იყო. ცნობილია, რომ იუბილარის მამა ასევე მსახიობი ავთანდილ ვერულეიშვილი იყო, თუმცა თავად ზურა ყიფშიძეს თითქმის 15 წლამდე მამა ეროსი მანჯგალაძე ეგონა. მსახიობის იუბილარი ხელოვანის შვილიც – გიორგი ყიფშიძე კინომსახიობთა თეატრში მუშაობს. იგი ყველაზე პოპულარული სერიალმა „ცხელი ძაღლი“ გახადა, სადაც მან ლექსო ნიჟარაძის როლი შეასრულა. მსახიობის ქალიშვილი ლენუკა ყიფშიძე კი მოდელია.

მიხეილ თუმანიშვილმა ზურა ყიფშიძის მონაწილეობით დაუვიწყარი სპექტაკლები დადგა, რომლებიც სრული ანშლაგით მიდიოდა. მსახიობი თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლისას გადავიდა მოსკოვში, სადაც დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. თეატრში მუშაობის პარალელურად, იგი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი გახდა. ხან-



გრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, მას მინიჭებული აქვს პრემია „ნიკა“.

სპექტაკლები მისი მონაწილეობით მაყურებლისთვის გამორჩეულად საყვარელია. ჩვენი მშობლების თაობა ყოველთვის აღტაცებით საუბრობს წარმოდგენებზე „ესმერალდა“, „ბაკულას ღორები“, „ჩვენი პატარა ქალაქი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „კამინო რეალი“, „დონ ჟუანი“. ამ უკანასკნელ სპექტაკლში შექმნილი კოსტიუმი ზურა ყიფშიძემ ხელოვნების სასახლეს ჩააბარა. ამიერიდან დონ ჟუანის კოსტიუმი საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშია.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში მისი ტელეგმირები:

– იმ 50-60 ფილმიდან რომელშიც გადამიღეს, ყურადსაღები და საინტერესო შეიძლება იყოს სადღაც ათი ფილმი, მაგრამ აქ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „როცა აყვავდა ნუში“ აღმოჩნდა. ალბათ იმიტომ რომ პირველი ფილმი იყო, რომელიც ახალგაზრდობის მტკივნეულ პრობლემას ეხებოდა, – იხსენებს იუბილარი მსახიობი.

ზურა ყიფშიძეს ილებდნენ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ფილმებშიც. მათ შორისაა ფილმები „მაცი ხვიტია“, „წუთისოფელი“, „წინაპართა მიწა“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ამბავი სურამის ციხისა“, „არსენას ლექსი“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „არგონავტები“, „ცოდვის შვილები“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, „მარტოხელა მონადირე“, „ოქროს ობობა“, „ჩაკლული სული“, „ორფეოსის სიკვდილი“, „ანთიმოზ ივერიელი“, „მიდიოდა მატარებელი“, „სამი სახლი“, „გოგონა სლაიდიდან“, „გასეირნება ყარაბახში 2 – კონფლიქტის ზონა“.

ამჟამად ზურა ყიფშიძე ერთ-ერთ რუსულ ფილმში მონაწილეობაზეა მიწვეული, ქართულ ფილმებში კი ჯერჯერობით მას მიწვევები არ აქვს. იუბილარი მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „არტ ხელოვნება“ თამაშობს, სადაც პარტნიორობას ალეკო მახარობლიშვილი და მიშა გომიაშვილი უწევენ.

როგორც იუბილარმა მსახიობმა აღნიშნა, მას არ უყვარს დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ ვინაიდან 60 წელი მრგვალი თარიღია, რაჭველებმა მისი იუბილეს აღნიშვნა გადაწყვეტს, რაზეც ზურა ყიფშიძემ უარი ველარ თქვა:

– საშინლად არ მიყვარს დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ ამ შემთხვევაში 60 წლის იუბილე იყო და უარი ველარ ვთქვი. ამბროლაურის კულტურის სახლში საოცრად კარგი საზოგადოება შეიკრიბა. აქ იყვნენ ჩემი მეგობრები, ახლობლები, ჩემი რაჭველები. დარბაზში მყოფი ყველა ადამიანი ჩემი ახლობელი იყო. მინდა თითოეულ მათგანს დიდი მადლობა ვუთხრა, რადგან მათი სითბო და სიყვარული კიდევ დიდხანს გამყვება. დიდი მადლობა ჩემს მაყურებელს, ვინც წლების განმავლობაში დადიოდა თეატრში და ჩვენს შემოქმედებას აფასებდა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, იუბილარმა მსახიობმა წინასწარ საუბარი არაფერზე ისურვა.

## საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის განცხადება




**გუშინ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა ფედერაციის გამგეობის სხდომა. გამომდინარე იმ დაპირისპირებებიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 აგვისტოს დაგეგმილ რიგგარეშე ყრილობის წინ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:**

– ფედერაციის წესდების ახალი რედაქციით მიღება აუცილებელია მისი პროექტის განხილვაში საზოგადოების ფართო ფენებისა და საკალათბურთო სამყაროს ჩართვის გზით. უნდა მოხდეს წესდების პროექტის შეჯერება კალათბურთით დაინტერესებული ნებისმიერი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფთან.

ამისთვის მოვუწოდებთ ყველას:

შექმნილ გაუგებრობას ნუ მივცემთ დაპირისპირების და კონფლიქტის სახეს. მით უმეტეს ახლა, როცა წინ გველის უმძიმესი და პასუხისმგებლობით აღსავსე ევროპის ჩემპიონატი.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამგეობა გამოაცხადებს საკალათბურთო სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების განრიგს, სადაც მაქსიმალურად შეჯერდება ახალი წესდების რედაქცია.

მხოლოდ ამის მერე დაინიშნება ფედერაციის ყრილობა წესდების ახალი რედაქციით მისაღებად.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება მხოლოდ წესდების შეჯერებული ვარიანტის საფუძველზე და არა „ხელების გადაგრეხვის“ პრინციპით.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 15 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – ნუ აჩქარდებით, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **ლომი** – თქვენთვის ახალი ცხოვრება იწყება, რომელიც ძალიან მოგეწონებათ. **ქალწული** – ახალი საქმე გამოჩნდება, ფულიც გექნებათ. **სასწორი** – ნუ ენდობით უცხო პირებს, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **ღრიანკალი** – ფულს იშოვით, პრობლემა მოგეხსნებათ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა თქვენ შემოგყურებთ. **თხის რქა** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, თავს მშვიდად გრძნობთ. **თევზები** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!